In recent years, the number of online pharmacies has increased worldwide, improving access to medications. This is particularly important for patients living in remote or underserved regions. Additionally, online pharmacies offer consumers extra convenience, allowing them to compare prices and obtain relevant information about medications remotely. The development of online pharmacies naturally enhances medication accessibility; however, in the absence of regulations or their inadequate enforcement, online pharmacies can become an uncontrolled source of medication distribution, posing serious threats to patient health. Implementing high safety standards, utilizing technological solutions, and fostering international cooperation will help online pharmacies provide high-quality and secure pharmaceutical services. Educating patients and tightening regulations are key components in improving the online medication dispensing system, contributing to both consumer safety and the credibility of the healthcare sector.

Keywords: Medication Accessibility, Online Pharmacies, Regulation, Safety

თემის აქტუალობა. ონლაინ აფთიაქების რაოდენობის სწრაფი ზრდა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით შორეულ რეგიონებში, თუმცა პარალელურად, სერიოზულ გამოწვევებსაც ქმნის. პრობლემების და გამომწვევების იდენტიფიცირება კრიტიკულად აუცილებელია რეგულაციების სრულყოფისა და უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზი და ეფექტური მარეგულირებელი ჩარჩოს განსაზღვრა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს ონლაინ ფარმაციის სარგებლის მაქსიმიზაცია და რისკების შემცირება.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია ონლაინ აფთიაქების რეგულირების სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესწავლა, მათი გავლენის შეფასება მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობასა და პაციენტთა უსაფრთხოებაზე, ასევე ონლაინ ფარმაციის განვითარების ძირითადი გამოწვევებისა და რეგულატორული მექანიზმების განსაზღვრა.

მეთოდი. კვლევის პროცესში გამოყენებულია დოკუმენტური ანალიზისა და შედარებითი კვლევის მეთოდები. ონლაინ აფთიაქებისთვის გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნის მარეგულირებელი ჩარჩოები, საკანონმდებლო მოთხოვნები, ლიცენზირების პირობები, რეცეპტული მედიკამენტების გაცემის წესები. კვლევა ასევე მოიცავს ონლაინ აფთიაქების რეგულაციებისა და პრაქტიკის შედარებას, რათა შეფასდეს მათი გავლენა მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობასა და პაციენტთა უსაფრთხოებაზე.

შედეგები. ზოგიერთი მედიკამენტის ინტერნეტით გაცემა (ან გაყიდვა) ავტორიზებულია ევროკავშირის 2011/62/EU დირექტივის შესაბამისად (193). ურეცეპტოდ გასაცემი (OTC) მედიკამენტების ინტერნეტით გაყიდვები დაახლოებით 2000 წელს დაიწყო ჯანმო-ს ევროპის რეგიონში. პროცესი ნებადართულია შვედეთში 2002 წლიდან, ხოლო ესპანეთსა და ირლანდიაში 2006 წლიდან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობა უშვებს OTC მედიკამენტების გაყიდვას ონ-

line და ჩვეულებრივ განსაზღვრავს სპეციფიკურ წესებს პაციენტის უსაფრთხოების დასაცავად. წამლის ინტერნეტის გაცემის გადანაცვებითაა ქვეყნების მარეგულირებელი სტრუქტურების მიერ დამყარებულია ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებზე, როგორიცაა ონლაინ გაყიდვების შესახებ რეგულაციის ტექნიკური აღსრულების შესაძლებლობა; არსებული სააფთიაქო ქსელის პოტენციური რისკები; აფთიაქების გადასახადებიდან სახელმწიფო შემოსავლის პოტენციური დაკარგვა; სამუშაო ადგილების შემცირება აფთიაქების დახურვის გამო; რისკები მედიკამენტების ეროვნული მწარმოებლებისთვის, განსაკუთრებით OTC მედიკამენტებისთვის; ფალსიფიცირებული და სუბსტანდარტული საშუალებების მიწოდების შესაძლებლობა; რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა; არალეგალური აფთიაქებიდან პაციენტის უსაფრთხოების რისკები და ფარმაცევტული კონსულტაციის არარსებობა; მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გადაუდებელი შემთხვევების არსებობისას [1,2].

მხოლოდ რამდენიმე ქვეყანა (როგორიცაა გერმანია) კონკრეტულად უშვებს ფოსტით ვაჭრობას, როგორც ურეცეპტოდ, ასევე რეცეპტით გასაცემი მედიკამენტებისთვის. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აფთიაქებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისთვის პოტენციური რისკები არაპროგნოზირებადად მაღალია. 2016 წელს გერმანიის ბაზარზე ონლაინ გაყიდვების მთლიანი წილი იყო 0.9% რეცეპტით და 13% OTC მედიკამენტებისთვის. გერმანიის ფარმაცევტთა ასოციაციის მონაცემებით, მხოლოდ რეცეპტით გაცემული მედიკამენტების ონლაინ გაყიდვების შემდგომი ზრდა მოსალოდნელია საშუალოვადიან პერსპექტივაში 10%-მდე და გრძელვადიან პერსპექტივაში 25%-მდე. რეცეპტით გაცემული მედიკამენტების გაყიდვები წარმოადგენს გერმანიის აფთიაქების შემოსავლის უდიდეს წყაროს. წამლების ონლაინ გაყიდვების დანერგვის შემდეგ, აფთიაქების რაოდენობა მუდმივად მცირდება და მიაღწია ყველაზე დაბალ დონეს 2022 წელს [3].

აქტივობა, რომლებიც ეხება მედიკამენტების ონლაინ გაყიდვას (აფთიაქიდან), ჩვეულებრივ ექვემდებარება მარეგულირებელი ორგანოს ავტორიზაციას (წამლების გაყიდვის დანყებამდე) – მაგალითად, გერმანია, ესტონეთი, საფრანგეთი და შვეიცარია – ან მარეგულირებელი ორგანოსთვის შეტყობინებას აფთიაქის მიერ, როგორც ბელგიაში და ირლანდიაში. ავტორიზაცია ან შეტყობინება შეიძლება ექვემდებარებოდეს საფასურს და მოქმედებს შეზღუდული პერიოდის განმავლობაში (ირლანდიაში, მაგალითად 160 ევრო 12 თვის განმავლობაში).

უმეტეს ქვეყანაში ინტერნეტით ვაჭრობასთან დაკავშირებული მოთხოვნები განსაზღვრულია დამოუკიდებელი აქტებით, როგორც ბელგიაში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში. ხოლო ზოგიერთ მარეგულირებელს (მაგ. ესტონეთში, საფრანგეთში) დამატებითი მოთხოვნები აღწერილი აქვს კარგი გაცემის პრაქტიკის სახელმძღვანელოს სპეციალურ ნაწილში. ბელგიაში ჩრდილოეთ ირლანდიაში, და გაერთიანებულ სამეფოში რეგულაცია ჩვეულებრივ აზუსტებს, რომ პროცესი ფარმაცევტის პასუხისმგებლობაა. ზოგიერთ ქვეყანაში რეგულაცია განსაზღვრავს, რომ გაცემა უნდა მოხდეს აფთიაქის შენობიდან, როგორც ბელგიაში. საფრანგეთში არც ერთი წამალი არ შეიძლება გაიყოს ფარმაცევტთან პაციენტთან ურთიერთობის შესაძლებლობის გარეშე. ეს ურთიერთობა არ შეიძლება განხორციელდეს ავტომატური პასუხის სერვისის მეშვეობით, რადგან აღნიშნული არ აძლევს საშუალებას ფარმაცევტს მიაწოდოს პაციენტს პერსონალიზებული სათანადო რჩევა. ანალოგიურად, ესტონეთში ფარმაცევტის ან აფთიაქის ტექნიკოსის უფასო ინდივიდუალური რჩევა უნდა იყოს რაციონალური და უსაფრთხო. შეიძლება აღწერილი იყოს სპეციფიკური მოთხოვნები, რათა უზრუნველყოს, რომ მიწოდება გავლენას არ მოახდენს მედიკამენტების ხარისხზე ან ეფექტურობაზე. ბელგიაში რეგულაცია აწესებს ინფორმაციის დატანის წესს მედიკამენტებზე და

ზოგადად, ამანათზე: წამლის ეტიკეტირება, ინფორმაცია ავთიაქზე, შეტყობინება, რომ მედიკამენტები უკან არ გაიგზავნება (გარდა დეფექტისა), ფარმაცევტული ზრუნვის სერვისების ჩამონათვალი, რომელიც შემოთავაზებულია გაცემის შემდეგ და ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა წამლის გამოყენებისთვის. ესტონეთში რეგულაცია ვრცელად აღწერს მიწოდების მოთხოვნებს და ამანათთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მასში მითითებულია, რომ ამანათს უნდა დაერთოს გადაზიდვის დოკუმენტი და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროდუქტის შემკვეთის დასახელება, შეკვეთის ნომერი, ავთიაქის დასახელება და საკონტაქტო მონაცემები, ლიცენზიის მფლობელი, იმ პირის დასახელება, რომელმაც გადაამოწმა ამანათის შიგთავსი, რეცეპტის ნომერი, გამაფრთხილებელი შეტყობინება, რომ პროდუქტ(ებ)ი არ უნდა იქნას გამოყენებული, თუ ამანათი არ ემთხვევა შეკვეთას, თუ ის ღიაა ან დაზიანებულია, ან თუ არსებობს რაიმე ეჭვი პროდუქტის დეფექტზე.

ზოგიერთმა ქვეყანამ განსაზღვრა მიწოდების სტანდარტული (მაქსიმალური) დრო (რომელიც შეიძლება მორგებული იყოს პაციენტზე), მაგალითად, ბელგიაში გზავნილი უნდა მივიდეს პაციენტთან შეკვეთიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში. ესტონეთში - არაუგვიანეს სამ სამუშაო დღეში, საფრანგეთში, ინტერნეტით მიღებული შეკვეთისას გაგზავნილი წამლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთთვიანი მკურნალობისთვის საჭირო რაოდენობას რეკომენდებული დოზებით.

უმეტეს ქვეყნებში ავთიაქები ხელმისაწვდომი უნდა იყოს რჩევისთვის წამლის გაცემის შემდეგაც (ჩვეულებრივ, მას შემდეგ, რაც პაციენტი მიიღებს წამალს). ბელგიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, გაერთიანებულ სამეფოში, ესტონეთში ონლაინ ავთიაქების ვებსაიტზე უნდა იყოს მითითებული მედიკამენტების შესახებ რჩევების მიღების შესაძლებლობის გზები [4,5].

ქვეყნების რეგულაციების ანალიზისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეფასებულია მედიკამენტების ონლაინ გაცემის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეებია: 1. მომხმარებლის კომფორტი და ხელმისაწვდომობა; 2. ფასების შედარების და დანაზოგის შესაძლებლობა; 3. გაფართოებული არჩევანი. 4. სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვა.

უარყოფითი მხარეებია: 1. ფალსიფიცირებული და სუბსტანდარტული მედიკამენტების რისკი; 2. რეცეპტის კონტროლის პრობლემა; 3. დაგვიანებული მიწოდება და მიწოდების ხარვეზები; 4. კონსულტაციის ნაკლებობა; 5. მონაცემთა უსაფრთხოება და კიბერრისკები [6,7].

დასკვნა. ონლაინ ავთიაქებიდან წამლების შეძენა მრავალი უპირატესობის მიუხედავად, სერიოზულ გამოწვევებსაც შეიცავს. მნიშვნელოვანია, რომ პაციენტებმა ისარგებლონ მხოლოდ სანდო და ლიცენზირებულ პლატფორმებზე დაფუძნებული სერვისებით, ხოლო რეგულატორებმა შეიმუშაონ მკაცრი კონტროლის მექანიზმები სანდოობის უზრუნველსაყოფად. ონლაინ ავთიაქების განვითარების პარალელურად, საჭიროა მათი რეგულირება ისე, რომ მოხდეს პაციენტთა უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვა და ამავდროულად, მოსახლეობისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. მკაცრი რეგულაციები, ტექნოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ონლაინ მედიკამენტების უსაფრთხო მიწოდებისთვის. სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მკაცრი რეგულირება და სანდო პლატფორმების ხელშეწყობა კრიტიკულია მედიკამენტური ზიანის შემცირებისთვის. იკვეთება ინტერდისციპლინური მიდგომის საჭიროებაც, რომელიც დააბალანსებს ხელმისაწვდომობის ზრდას და უსაფრთხოების დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hu, Q., Hu, H., Hu, M., Zhang, J., Gou, L., Shi, S., Zhou, J., Zhou, N., & Huang, Z. (2022). "Use of failure mode and effect analysis to reduce patient safety risks in purchasing prescription drugs from

- online pharmacies in China". *Frontiers in Medicine*, 9, 913214. <https://doi.org/10.3389/fmed.2022.913214>.
2. Long, C. S., Kumaran, H., Goh, K. W., Bakrin, F. S., Ming, L. C., Rehman, I. U., Dhaliwal, J. S., Hadi, M. A., Sim, Y. W., & Tan, C. S. (2022). "Online Pharmacies Selling Prescription Drugs: Systematic Review." *Pharmacy*, 10(2), 42. <https://doi.org/10.3390/pharmacy10020042>.
 3. Veronin, M. A. (2020). "Risk of purchasing prescription medications from rogue online pharmacies." *Therapeutic Advances in Drug Safety*, 11, 2042098620940083. <https://doi.org/10.1177/2042098620940083>.
 4. World Health Organization (WHO). *Pharmaceutical pricing policies in a global market*. WHO Regional Office for Europe; 2019. Available from: <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/326394/9789289054249-eng.pdf>
 5. World Health Organization (WHO). Ensuring access to medicines: How to expand pharmaceutical benefit packages. WHO Regional Office for Europe; 2022. Available from: https://ordemfarmaceuticos.pt/fotos/editor2/2024/noticias/relatorio_oms.pdf
 6. Jin, S., Kim, J., Chu, C. (2020). "Online pharmacies and consumer protection in South Korea: The role of the Korea Food and Drug Administration." *Health Policy and Technology*, 9(3), 319-324. <https://doi.org/10.1016/j.hlpt.2020.06.002>.
 7. Miller, R., Wafula, F., Onoka, C. A., Saligram, P., Musiega, A., Ogira, D., Okpani, I., Ejughemre, U., Murthy, S., Garimella, S., Sanderson, M., Ettelt, S., Allen, P., Nambiar, D., Salam, A., Kweyu, E., Hanson, K., & Goodman, C. (2021). "When technology precedes regulation: the challenges and opportunities of e-pharmacy in low-income and middle-income countries." *BMJ Global Health*, 6(5), e005405. <https://doi.org/10.1136/bmjgh-2021-005405>.PubMed

ნანა შაშიაშვილი, ნათია კვიკინაძე

ონლაინ აფთიაქების რეგულირება: მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების
ოპტიმალური ბალანსი

თსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

რეზიუმე

ბოლო წლებში ონლაინ აფთიაქების რაოდენობა მსოფლიოს ქვეყნებში გაიზარდა, რაც მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობას აუმჯობესებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შორეულ ან ნაკლებად უზრუნველყოფილ რეგიონებში მცხოვრები პაციენტებისთვის. ონლაინ აფთიაქები მომხმარებლებს სთავაზობენ დამატებით კომფორტს, შეადარონ ფასები და მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია პრეპარატების შესახებ დისტანციურად, თუმცა, რეგულაციების არარსებობის ან მათი არასათანადო აღსრულების შემთხვევაში, ონლაინ ფარმაცია შეიძლება იქცეს მედიკამენტების არაკონტროლირებადი გავრცელების წყაროდ, რაც პაციენტების ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვა, ტექნოლოგიური გადანაცვლებების გამოყენება და საერთაშორისო თანამშრომლობა დაეხმარება ონლაინ აფთიაქებს, უზრუნველყონ ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული მომსახურება. პაციენტთა ინფორმირება და რეგულაციების გამკაცრება ონლაინ მედიკამენტების გაცემის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რაც ხელს შეუწყობს როგორც მომხმარებელთა უსაფრთხოებას, ისე ჯანდაცვის სექტორის სანდობას.



ნანა შაშიაშვილი

ფარმაცევტული ბიზნესის ინტეგრაციის შეზღუდვა - მარეგულირებელი ჩარჩოები და გავლენა ჯანდაცვის სისტემაზე

თსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.05>

NANA SHASHIASHVILI

REGULATING PHARMACEUTICAL BUSINESS INTEGRATION – REGULATORY FRAMEWORKS AND IMPACT ON THE HEALTHCARE SYSTEM

TSMU Department of Social and Clinical Pharmacy

SUMMARY

The regulation of pharmaceutical activities is essential for ensuring public health, structuring the market, and defining access to medicinal products. One of the key aspects is the restriction of integration, which aims to maintain the independence of services and reduce the influence of commercial interests. Countries adopt different approaches to regulating integration in the pharmaceutical sector. Some strictly prohibit manufacturers and wholesale distributors from owning or managing pharmacies to prevent conflicts of interest and potential influence on the prescribing process. On the other hand, some countries follow a more liberal model, allowing large corporations and network organizations to participate in pharmacy management. This approach promotes economies of scale and enables the development of network structures; however, there is a significant risk that commercial interests may take precedence over patient needs. This article analyzes various regulatory models of vertical and horizontal integration.

Keywords: Integration, Ownership, Pharmacist, Pharmacy

თემის აქტუალობა. ინტეგრაციის რეგულირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფარმაცევტული სისტემის სამართლიანი კონკურენციის, წამლის ფასებით მანიპულირების და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. თუ მწარმოებელი, დისტრიბუტორი და აფთიაქი ერთი ჯგუფის საკუთრებაშია, ამგვარი დამოკიდებულება ცნობილია, როგორც ვერტიკალური ინტეგრაცია, და ხშირად განაპირობებს ბაზრის მონოპოლიზაციას. ბაზრის ამგვარი გადანაწილება იწვევს კონკურენციის დასუსტებას, მცირე ბიზნესები წყვეტენ საქმიანობას, შედეგად, მცირდება მოსახლეობის წვდომა ხარისხიან ფარმაცევტულ მომსახურებაზე, განსაკუთრებით ეს საყურადღებოა სოფლის, დაბის ტიპის და ნაკლებად დასახლებულ რეგიონებში [1].

მიზანი. კვლევის მიზანია ფარმაცევტული ბიზნესის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის მარეგულირებელი ჩარჩოების ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, მათი გავლენის შეფასება ფარმაცევტული სექტორის ფუნქციონირებასა და ბაზრის სტრუქტურაზე, ასევე ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და პრობლემური საკითხების გამოვლენა.

მეთოდი. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა დოკუმენტური ანალიზისა და შედარებითი კვლევის მეთოდები. გაანალიზებულია საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის რეგულაციების პრაქტიკა, რათა შეფასდეს, როგორ მოქმედებს ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის რეგულირება ფარმაცევტული ბაზრის კონკურენტუნარიანობაზე, მომსახურების ხარისხსა და ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობაზე.

შედეგების განხილვა. ჰორიზონტალური ინტეგრაცია უკავშირდება აფთიაქების გაერთიანებას ქსელებში ან პროცესს, როდესაც დიდი საცალო ფარმაცევტული კომპანიები ყიდულობენ მცირე აფთიაქებს. ხოლო ვერტიკალური ინტეგრაცია გულისხმობს მწარმოებლებისა და საბითუმო დისტრიბუტორების აფთიაქების მართვაში ჩართვას. ზოგი ქვეყანა ცდილობს ინტეგრაციის შეზღუდვას, რათა მცირე აფთიაქებს ჰქონდეთ ბაზარზე კონკურენციის შესაძლებლობა, მაშინ როცა სხვაგან ლიბერალური მიდგომა საშუალებას აძლევს მსხვილ

ქსელებს ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე აიღონ კონტროლი. თუ მწარმოებელი, დისტრიბუტორი და აფთიაქი ერთი ჯგუფის საკუთრებაშია, ეს იწვევს ბაზრის მონოპოლიზაციას. აღნიშნული გამოხატულია კონკურენციის შეზღუდვაში, ზოგიერთ სამკურნალო საშუალებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და წამლის ფასებით მანიპულირებაში. მკაცრი რეგულაციების არარსებობის შემთხვევაში, სააფთიაქო ქსელები აგრესიულ პრომოციას უწევენ იმ მწარმოებლების პროდუქციას, რომლებიც მათ საკუთრებაშია, ძირითადად, რეალიზაციას უკეთებენ ამ საშუალებებს, რაც ამცირებს არჩევანს და ზრდის ფასებს. დიდ სააფთიაქო ქსელებს, ასევე საცალო ვაჭრობის გიგანტებს ლიბერალური პოლიტიკის შემთხვევაში, შეუძლიათ მოიპოვონ ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა, ეს კი ასუსტებს „წვრილ“, დამოუკიდებელ აფთიაქებს.

რიგ ქვეყნებში არსებობს გარკვეული შეზღუდვები ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრაციაზე. იტალიაში მუნიციპალიტეტები ფლობენ რამდენიმე აფთიაქს, რომელსაც ეწოდება *farmacie* საზოგადოება. ისინი ისტორიულად დაარსდა მუნიციპალიტეტის მიერ, სადაც ფარმაცევტების შეზღუდული რაოდენობაა. საშუალოდ ისინი წარმოადგენენ აფთიაქების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით 20%-ს, მაგრამ, მაგალითად, კრემონაში, 20 აფთიაქიდან 14 ქალაქის საკუთრებაა. ბოლო დროს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ეს აფთიაქები მიჰყიდეს ქსელებს (როგორც მილანში), რომლებმაც 99 წლის განმავლობაში მმართველობისთვის ჩაიბარეს აქციების 80%. შედეგად, გაჩნდა მონოპოლიის უდიდესი რისკი. შედეგში აფთიაქები ყველა სახელმწიფო საკუთრებაში იყო, სანამ მთავრობამ დაიწყო სექტორის ლიბერალიზაციის პროცესი. შედეგად, აფთიაქების დაახლოებით ორი მესამედი ახლა კერძო კომპანიების საკუთრებაშია რამდენიმე ქსელის მეშვეობით. დარჩენილ ნაწილს კი კვლავ ფლობს შედეგის მთავრობა, Apoteket AB-ის მეშვეობით.

ზოგიერთ ქვეყანაში აფთიაქები კოოპერატივების საკუთრებაა და იკავებს ბაზრის მნიშვნელოვან წილს, როგორც ბელგიაში (20%). საფრანგეთს აქვს გამონაკლისები აფთიაქების საკუთრების შეზღუდვის მიმართ: 37 აფთიაქი ეკუთვნის მაღაროელების ჯანმრთელობის დაზღვევას და 51 ეკუთვნის მზღვევებს. ეს აფთიაქები წარმოიშვა სულ მცირე 40 წლის წინ და დღესაც შენარჩუნებულია. ფინეთში ორ უნივერსიტეტს (ჰელსინკისა და ალმოსავლეთ ფინეთის) უფლება აქვთ ჰქონდეთ თითოეული აფთიაქი, ხოლო ჰელსინკის უნივერსიტეტის აფთიაქს შეიძლება ჰქონდეს 16-მდე ფილიალი [1,2,3].

განსხვავებით ვერტიკალურისა, ჰორიზონტალური ინტეგრაცია აღწერს მდგომარეობას, როდესაც ერთი ადამიანი (ან კორპორაცია) ფლობს ერთზე მეტ აფთიაქს. მან შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდული კონკურენცია და მონოპოლიზაცია, როდესაც ერთი და იგივე პირი ან ერთეული აკონტროლებს ბაზრის მნიშვნელოვან წილს აფთიაქების ერთი ან რამდენიმე ქსელის მეშვეობით. დსთ-ს ბევრ ქვეყანას, როგორცაა ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი, არ გააჩნია ჰორიზონტალური შეზღუდვები კანონმდებლობაში. ბაზრის წილის კონცენტრაციის შემთხვევაში, კონკურენტული ორგანოების ჩართვა ხდება ცალკეულ ქვეყანაში. მაგალითად, ნორვეგიაში ჰორიზონტალური ინტეგრაციის შეზღუდვა მოჰყვა კონკურენციის ორგანოს ჩარევას მას შემდეგ, რაც ლიბერალიზაციის შემდეგ ერთი ჯგუფი ფლობდა აფთიაქების 80%-ზე მეტს. 2017 წელს მიღებული ახალი პოლიტიკური კანონი ასევე ხელს უშლის ჰორიზონტალურ ინტეგრაციას, რადგან პირს არ შეუძლია მიიღოს ახალი აფთიაქის ლიცენზია, თუ ის აკონტროლებს მოცემულ რეგიონში აფთიაქების 1%-ზე მეტს [4,5,6].

აფთიაქების კონტექსტში, ვერტიკალური ინტეგრაცია, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საბითუმო ვაჭრობის ან ფარმაცევტული ინდუსტრიის შესაძლებლობას ფლობდეს აფთიაქებს. ის

მხოლოდ ეკონომიკური პერსპექტივიდან არის რელევანტური, თუ ასევე ასოცირდება ჰორიზონტალურ ინტეგრაციასთან (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბითუმო მოვაჭრე ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაინტერესებული იყოს ქვეყანაში მხოლოდ ერთი აფთიაქით). WHO ევროპის რეგიონის უმსხვილესი საბითუმო მოვაჭრეები (Walgreens Alliance Boots, McKesson - Celesio და Phoenix) ფლობენ აფთიაქების ერთ ან რამდენიმე ქსელს იმ ქვეყნებში, სადაც ნებადართულია ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია. ესტონეთში, ახალი რეგულაციებით, საბითუმო კომპანიებისა და აფთიაქების ვერტიკალური ინტეგრაცია აღარ დაიშვება, პოლონეთში, 2017 წლის კანონის შესაბამისად, ახალი ლიცენზიები არ გაიცემა არაფარმაცევტებზე (და შეზღუდულია ოთხი აფთიაქით, რომელიც ეკუთვნის ინდივიდს). ეს შეზღუდავს შემდგომ ვერტიკალურ ინტეგრაციასაც, რადგან ლიცენზია ვერ გადაეცემა სხვა კომპანიებს შერწყმის შემთხვევაშიც კი. ვერტიკალური ინტეგრაციის შეზღუდვების გარდა, ხშირია აკრძალვები ექიმების და წამლის სხვა გამომწერების მფლობელობის მიმართ. აფთიაქის ქონა ასეთ შემთხვევაში ინტერესთა პოტენციური კონფლიქტად აღიქმება, შეზღუდვა მოქმედებს დანიაში, ესტონეთში, ისლანდიაში, ირლანდიაში, მალტაში, ნორვეგიასა და შვედეთში. წამლის მწარმოებლებს, საავადმყოფოებს და ჯანმრთელობის დაზღვევის ფონდებს ასევე ეზღუდებათ აფთიაქების მფლობელობა, რათა თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი, მაგალითად, ისლანდიაში, ნორვეგიასა და შვედეთში. სომხეთში აფთიაქების დაახლოებით 25% ეკუთვნის საბითუმო ვაჭრობის საკუთრებაში არსებულ სააფთიაქო ქსელებს. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მონოპოლიზაციისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მაღალი რისკების გამო, კანონპროექტი ვერტიკალურ ინტეგრაციას ზღუდავს და 2025 წელს უნდა დაინერგოს [7,8].

ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპის მიხედვით, კომპანია ფლობს ან აკონტროლებს მომწოდებლებს, დისტრიბუტორებს, საცალო რეალიზატორებს, ბაზარზე არსებულ ასორტიმენტს და ექიმის მიერ გაცემულ დანიშნულებასაც კი. ინტეგრაციის ამგვარი ფორმა კომპანიებს საშუალებას აძლევს მართონ მიმდინარე პროცესები, გაზარდონ ეფექტურობა და შეამცირონ ხარჯები. ინტეგრაციისთვის მახასიათებელი ნიშნებია:

მასშტაბის ეკონომია	•ქსელებს შეუძლიათ მედიკამენტების დაბალი ფასად შეძენა, რაც ზრდის კონკურენტუნარიანობას
სტანდარტიზებული მომსახურება	•მომხმარებლებისთვის ერთნაირი სერვისების შეთავაზება უზრუნველყოფს ხარისხის ერთგვაროვნებას
ბრენდის სიძლიერე	•მსხვილ ქსელებს უფრო დიდი მარკეტინგული ძალა აქვთ, რაც ზრდის ცნობადობას და მომხმარებელთა ნდობას.
ბაზრის მონოპოლიზაციის რისკი	•მცირე და დამოუკიდებელი აფთიაქები ვეღარ უწევენ კონკურენციას მსხვილ ქსელებს.
მომსახურების პერსონალიზაციის შემცირება	•ქსელები ხშირად ფოკუსირდებიან სტანდარტიზაციაზე, რაც ნაკლებად მორგებულია ინდივიდუალურ მომხმარებელზე.

საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს ინტეგრაციის საკითხებს. კომპანიას არ ეზღუდება ფლობდეს ჰოსპიტალს, ამბულატორიას, ფარმაცევტულ საწარმოს, საბითუმო და

საცალო რეალიზაციის ობიექტებს. მიუხედავად, იმისა, რომ თითოეულ სექტორში ფუნქციონირებადი დაწესებულება (წარმოება, კლინიკა, საბითუმო რეალიზატორი, საცალო რეალიზატორი) ზოგჯერ წარმოდგენილია სხვადასხვა იურიდიული პირების ფორმით, მათი მესაკუთრე ან სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ერთი და იგივე პირია, ან ფარმაცევტული კომპანია თავად წარმოადგენს სამედიცინო დაწესებულების მესაკუთრეს.

ვერტიკალურ ინტეგრაციაში ჩართული ფარმაცევტული კომპანიები ფარმაცევტულ ბაზარზე საბითუმო და საცალო რეალიზატორების მნიშვნელოვანი წილითაა წარმოდგენილი. 3 ფარმაცევტული კომპანია ფლობს ფარმაცევტულ ბაზრის თითქმის $\frac{3}{4}$ ნაწილს. საქართველოში, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

2016 წელს, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შეისწავლა საკითხი, რომელიც ეხებოდა საქართველოში ოპერირებადი 2 მსხვილი ფარმაცევტული ქსელის დაგეგმილ კონცენტრაციას (*კონცენტრაცია - ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება*). სააგენტოს გადანაცვებით, აღნიშნული მიჩნეული იქნა კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად. შედეგად, ფარმაცევტულ ბაზარზე ჩამოყალიბდა საქართველოში ყველაზე დიდი ფარმაცევტული კომპანია (როგორც საბითუმო, ასევე საცალო რეალიზაციის განმახორციელებელი ფუნქციით). ამავე პერიოდში, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ შეისწავლა საკითხი, რომელიც ეხებოდა საქართველოში ერთ-ერთი მსხვილი ფარმაცევტული ქსელის (წარმოდგენილი როგორც საბითუმო, ასევე საცალო რეალიზაციის ობიექტებით) და პოსპიტალურ სექტორში ოპერირებადი კომპანიის დაგეგმილ კონცენტრაციას. სააგენტოს მიერ, შესაბამის ბაზრებად განისაზღვრა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების, ფარმაცევტული კომპანიების პროდუქციის რეალიზაციის და სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების ბაზრები. შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლის შემდგომ, სააგენტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიიჩნია.

დასკვნა. ინტეგრაციის რეგულირება უზრუნველყოფს კონკურენტული, სამართლიანი და ეთიკური გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს ხარისხიან მომსახურებას, სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობას, და პაციენტთა ინტერესების დაცვას. პროცესის მიმართ დაბალანსებული მიდგომა აუცილებელია, რათა სახელმწიფოებმა ჯანდაცვის პოლიტიკის დაცვის პარალელურად შეინარჩუნონ ფარმაცევტული ბაზრის ეფექტიანობა. საქართველოში ფარმაცევტულ სფეროში ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის რეგულირების საკითხი საკანონმდებლო გადასინჯვას საჭიროებს. უნდა შეფასდეს არსებული მიდგომების ეფექტიანობა, რათა რეგულაციები უზრუნველყოფდეს სამართლიანი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას, კონკურენციის გაძლიერებას და მოსახლეობისათვის ხარისხიანი ფარმაცევტული მომსახურების გარანტირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Morton, F. S., & Kyle, M. K. (2023). *Markets for pharmaceutical products*. National Bureau of Economic Research. https://www.nber.org/system/files/working_papers/w31536/w31536.pdf

2. Świeczkowski D, Merks P, Cwalina N, Jaguszewski MJ. Development of Pharmacy Practice in European Countries—The Polish Perspective. *Pharmacy*. 2017; 5(3):43. <https://doi.org/10.3390/pharmacy5030043>
3. World Health Organization (WHO). (2019). *The legal and regulatory framework for community pharmacies in the WHO European Region*. WHO Regional Office for Europe. Retrieved from <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/326394/9789289054249-eng.pdf>.
4. Hämeen-Anttila, K., & Almarsdottir, A. B. (2024). The pharmacies are not state-owned in Denmark and in Finland. *Journal of Pharmaceutical Policy and Practice*, 17(1). <https://doi.org/10.1080/20523211.2024.2360481>
5. World Health Organization (WHO). (2019). *Medicines reimbursement policies in Europe*. WHO Regional Office for Europe. <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/326394/9789289054249-eng.pdf>
6. World Health Organization. Regional Office for Europe. (2024). Community pharmacy regulatory and practice models in eastern Europe and central Asia. World Health Organization. Regional Office for Europe. <https://iris.who.int/handle/10665/376552>. 108 p. ISBN 9789289060776 (PDF)
7. ABDA – Federal Union of German Associations of Pharmacists. (n.d.). *Ownership requirements of pharmacies in the EU*. Retrieved [March 23, 2025], <https://www.abda.de/en/pharmacies-in-europe/ownership-requirements-of-pharmacies-in-the-eu/>
8. S. Schwaabe, The European pharmacy market: the density and its influencing factors, *European Journal of Public Health*, Vol32, Iss Supl3, October 2022, ckac131.027, <https://doi.org/10.1093/eurpub/ckac131.027>

ნანა მაშიაშვილი

ფარმაცევტული ბიზნესის ინტეგრაციის შეზღუდვა - მარეგულირებელი ჩარჩოები და გავლენა ჯანდაცვის სისტემაზე

თსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

რეზიუმე

ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირება უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად, ბაზრის სტრუქტურირებისთვის და სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობის განსაზღვრისთვის. ერთ-ერთი საკვანძო ასპექტი არის ინტეგრაციის შეზღუდვა, რაც მიზნად ისახავს მომსახურების დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და კომერციული ინტერესების ზეგავლენის შემცირებას. ქვეყნები განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ ფარმაცევტული სექტორის ინტეგრაციის რეგულირებაში. ზოგიერთი მათგანი მკაცრად კრძალავს მწარმოებლებისა და საბითუმო დისტრიბუტორების მიერ აფთიაქების მართვას, რათა თავიდან აიცილოს ინტერესთა კონფლიქტი და წამლების დანიშვნის პროცესზე შესაძლო გავლენა. მეორე მხრივ, არსებობს ქვეყნები, რომლებიც სექტორის ლიბერალურ მოდელს ემყარებიან და საშუალებას აძლევენ მსხვილ კორპორაციებსა და ქსელურ ორგანიზაციებს ჩაერთონ აფთიაქების მართვაში. ეს მიდგომა ხელს უწყობს მასშტაბის ეკონომიასა და ქსელური სტრუქტურების განვითარების საშუალებას, თუმცა არსებობს სერიოზული რისკი, რომ კომერციული ინტერესები პაციენტის საჭიროებებზე პრიორიტეტულად განიხილებოდეს.



ნანა შაშიაშვილი ¹, ნათია კვიჟინაძე ¹, ნინო ბაქრაძე ²

სააფთიაქო ბიზნესის საკუთრების რეგულირება ქვეყნების მაგალითზე

¹თსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი; ²ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.06>

NANA SHASHIASHVILI ¹, NATIA KVIZHINADZE ¹, NINO BAKRADZE ²

REGULATION OF PHARMACY BUSINESS OWNERSHIP: INTERNATIONAL CASE STUDIES

¹TSMU Department of Social and Clinical Pharmacy; ²University of Bremen, Germany

SUMMARY

Regulation of pharmacy activities is essential for ensuring public health, structuring the pharmaceutical market, and determining access to medicinal products. The primary goal of these regulations is to guarantee high-quality pharmaceutical services, ensure patient safety, promote market competitiveness, and establish fair conditions. Countries adopt different approaches to the ownership of pharmacy establishments. In some systems, regulations strictly mandate that pharmacies must be owned and operated by pharmacists or independent professional groups to minimize the influence of commercial interests on the distribution of medicinal products. This model is crucial for maintaining the independence of pharmaceutical services. The article provides a detailed analysis of the various regulatory models related to pharmacy ownership, which play a key role in ensuring access to medicinal products within the pharmaceutical market.

Keywords: Integration, Pharmacist, Pharmacy.

თემის აქტუალობა. სააფთიაქო საქმიანობის საკუთრების რეგულირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ფარმაცევტული სისტემის სამართლიანი კონკურენციის, მედიკამენტების ხელმისაწვდომობის, ზოგადად სტაბილურობის და პაციენტთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სხვადასხვა ქვეყნები განსხვავებულ მიდგომებს მიმართავენ, რაც აიხსნება ეკონომიკური ფაქტორებით და ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკით. საკუთრების რეგულირება მნიშვნელოვანია სააფთიაქო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. თუ აფთიაქებს პროფესიული გაერთიანებები ან ინდივიდუალურად ფარმაცევტები მართავენ, მათი ძირითადი მიზანი არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ პაციენტთა საჭიროებებისა და მედიკამენტების უსაფრთხო გამოყენების პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფაა. თუ საქმიანობაში კომერციული ინტერესები დომინირებს, იქმნება რისკი, რომ მოგების მიზნით შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არასაჭირო სამკურნალო საშუალებების რეკომენდაციას, შეთავაზებას ან უფრო მეტიც, არაეფექტიანი პროდუქტების რეალიზაციას [1,2,3].

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია სააფთიაქო ბიზნესის რეგულირების არსებული მექანიზმების შესწავლა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების საფუძველზე, მათი გავლენის შეფასება ფარმაცევტული მომსახურების ხარისხზე, მედიკამენტების ხელმისაწვდომობასა და ბაზრის კონკურენტულ გარემოზე, ასევე ამ სფეროში არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა.

მეთოდი. კვლევა ეფუძნება დოკუმენტური ანალიზისა და შედარებითი კვლევის მეთოდებს. განხილულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების მარეგულირებელი ჩარჩოები, რათა შეფასდეს მათი ეფექტიანობა სააფთიაქო სექტორის მდგრადი განვითარებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად.

შედეგების განხილვა. საზოგადოებრივი აფთიაქის საკუთრება შეზღუდულია ევროპის რეგიონის ბევრ ქვეყანაში. მთავარ მიზეზად მიიჩნევა ის, რომ აფთიაქის შექმნის მთავარი და ძირითადი მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფაა. მხოლოდ ფარმაცევტით შეზღუდული საკუთრება (იტალიაში და გერმანიაში) გაასაჩივრეს ევროპის სასამართლოში,

რომელმაც 2009 წელს დაადგინა, რომ ის მიდგომა გამართლებულია საზოგადოებისთვის სამედიცინო პროდუქტების საიმედო და კარგი ხარისხის მიწოდებით. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა: უდავოა, რომ ფარმაცევტი, ისევე როგორც სხვა პირები, მიზნად ისახავს მოგების მიღებას. თუმცა, როგორც დარგის სპეციალისტი, საქმიანობას ახორციელებს არა წმინდა ეკონომიკური მიზნებით, არამედ პროფესიული თვალსაზრისით. მოგების მიღებასთან დაკავშირებული მისი პირადი ინტერესი მცირდება ფარმაცევტის ცოდნით, სწავლებით, პროფესიული გამოცდილებით და პასუხისმგებლობით, რომელიც მას ეკისრება საქმიანობის განხორციელების დროს. კანონის, წესების ან პროფესიული ქცევის ნებისმიერი დარღვევა ამცირებს არა მხოლოდ მის ფინანსურ მოგებას, არამედ გავლენას ახდენს იმიჯსა და პროფესიონალიზმზე. ფარმაცევტებისგან განსხვავებით, სხვა პირებს არ გააჩნიათ ფარმაცევტების ტოლფასი შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება და პასუხისმგებლობა. შესაბამისად, არ არსებობს იგივე გარანტიები მართებული ქმედებების განსახორციელებლად. ნევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თავისი შეხედულების მიხედვით გაითავისონ მოსაზრება, რომ არაფარმაცევტის მიერ აფთიაქის ფუნქციონირებამ შეუძლია საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, სამედიცინო პროდუქტების მიწოდების საიმედოობასა და ხარისხს.

რამდენიმე ქვეყანაში აფთიაქის ლიცენზია შეიძლება მხოლოდ ფარმაცევტის საკუთრებაში იყოს. საქმიანობის უფლება შეიძლება გადაეცეს, გაიყიდოს სხვა ფარმაცევტზე (ან ფარმაცევტთა ჯგუფზე) იმ პირობით, თუ ახალი მფლობელი აკმაყოფილებს განსაზღვრულ საკანონმდებლო მოთხოვნებს. ესპანეთში და გერმანიაში აფთიაქის მფლობელი ყოველთვის უნდა იყოს ფარმაცევტი, რათა ხაზი გაესვას ფარმაცევტის პირად პასუხისმგებლობას და ფარმაცევტული პროდუქტების პროფესიულ დონეზე მიწოდებას, თავისუფალს კორპორატიული მოგების მიზნებისგან. გერმანიის რეგულაცია ასევე მოიცავს კონკრეტულ დებულებებს საკუთრების და სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ პრაქტიკის დამოუკიდებლობის გარანტირებისთვის. რამდენიმე სხვა ქვეყანაში, მათ შორის ავსტრიაში, უნგრეთსა და ლატვიაში, კანონმდებლობა აწესებს შეზღუდვას, რომ აფთიაქის აქციების უმრავლესობა ფარმაცევტების საკუთრებაში უნდა იყოს. ზოგ შემთხვევაში მოქმედებს სამართლებრივი და მარეგულირებელი დებულებები, რომელიც უზრუნველყოფს გამონაკლის შემთხვევაში (როგორიცაა მფლობელის გარდაცვალება) აფთიაქის შენარჩუნებას განსაზღვრული ვადით, მის გაყიდვამდე მემკვიდრეების მიერ. საფრანგეთში ფარმაცევტის გარდაცვალების შემდეგ, მეუღლეს ან მემკვიდრეებს შეუძლიათ აფთიაქის ფუნქციონირება მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში რეგიონალური ჯანდაცვის დირექტორის მიერ უფლებამოსილ მმართველ ფარმაცევტთან ერთად. გერმანიაში მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეებს შეუძლიათ აფთიაქის ადმინისტრირება ფარმაცევტის დახმარებით მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში. აფთიაქის მართვა შესაძლებელია დროებით, სხვა პირის ჩართულობით, სანამ მემკვიდრე არ გახდება დიპლომირებული უფლებამოსილი ფარმაცევტი [4,5].

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად, აფთიაქის ლიცენზია ფიზიკურ პირებს (ან კორპორაციას) ეკუთვნის, რამდენიმე ქვეყანაში ის რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. ფინეთში ლიცენზია გაიცემა Fimea-ს, ფინეთის მედიკამენტების სააგენტოს მიერ, კონკრეტულ პირზე და არ შეიძლება გაიყიდოს ან იჯარით გადაეცეს მესამე პირს. ლიცენზია შეიძლება შეწყდეს ან ვაკანტური გახდეს ორი გზით: როდესაც ფარმაცევტი მიაღწევს 68 წელს ან როდესაც მფლობელი იძენს ლიცენზიას ახალი აფთიაქისთვის. თუ ლიცენზია ვაკანტურია, Fimea აცხადებს, რომ მასზე განაცხადის მიღება შესაძლებელია და გასცემს მას მედიკამენტების შესახებ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე. Fimea ასევე იღებს გადაწყვეტილებებს ახალი აფთიაქების და შვილობილი/ფილიალების დაარსების საჭიროების შესახებ. ეს მიდგომა იძლევა აფთიაქების

ეფექტურ დაგეგმვას, რადგან Fimea-ს შეუძლია გადანაცვითი „შექმნას“ ახალი ლიცენზია ან გააუქმოს ის. ლუქსემბურგში აფთიაქების სპეციფიკაციებს აქვეყნებს ჯანდაცვის სამინისტრო, სადაც დეტალურადაა აღწერილი აფთიაქის მდებარეობა, მისი გახსნის ვადები და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებები. დანიაში აფთიაქის ლიცენზია სახელმწიფოს საკუთრებაა და აფთიაქის მართვა მხოლოდ ფარმაცევტს შეუძლია. ლიცენზია უბრუნდება სახელმწიფოს, თუ ფარმაცევტმა შეიძინა ახალი აფთიაქი ან მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში. ზოგიერთმა ქვეყანამ დაუშვა საკუთრების უფლება არაფარმაცევტებისთვის (მათ შორის, პორტუგალია და იტალია 2007 და 2016 წლებში, შესაბამისად), ზოგი კი (უნგრეთი, ესტონეთი და პოლონეთი), ლიბერალიზებული სისტემიდან გადავიდა მფლობელობის შემზღუდვაზე (2009, 2015 და 2017 წლებში, შესაბამისად). უნგრეთში აფთიაქების საკუთრებაში გადასვლა თანდათანობით მოხდა: ფარმაცევტებს უნდა ჰქონოდათ აფთიაქის აქციების მინიმუმ 25% 2014 წლისთვის და 50% 2017 წლისთვის. ესტონეთში საკუთრების ახალი რეგულაციები ეტაპობრივად ამოქმედდა 2020 წლამდე, პოლონეთში ახალი კანონმდებლობა ძალაში შევიდა მხოლოდ ახალი აფთიაქებისთვის, მაგრამ დებულებები ასევე მოქმედებს არსებული ლიცენზიების გადაცემის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში პროფესიული ვალდებულებები ფარმაცევტის უშუალო პასუხისმგებლობაა, ზოგიერთმა ქვეყანამ ასევე განსაზღვრა მფლობელი ან ლიცენზიანტი არაფარმაცევტი პირების პასუხისმგებლობაც, ამის მაგალითებია ესტონეთი და მალტა. რიგ ქვეყნებში (ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ისლანდია, ირლანდია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი) აფთიაქის მფლობელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფარმაცევტებისთვის. 2017 წლის 29 აგვისტოდან, იტალიამ უფლება მისცა კორპორაციებს ფლობდნენ აფთიაქებს [5,6,7].

საქართველოში ფარმაცევტულ სფეროში საკუთრების უფლების რეგულირების საკითხი საკანონმდებლო გადასინჯვას საჭიროებს. უნდა შეფასდეს არსებული მიდგომების ეფექტიანობა. მიზანშეწონილია მექანიზმების გაძლიერება ფარმაცევტებისა და მომხმარებელთა ინტერესების მიზნით, რათა რეგულაციები უზრუნველყოფდეს სამართლიან და დაბალანსებულ ბაზრის გარემოს ჩამოყალიბებას, ფარმაცევტის როლის გაძლიერებას, ბაზრის დივერსიფიკაციას, კონკურენციის გაძლიერებას და მოსახლეობისათვის ხარისხიანი ფარმაცევტული მომსახურების გარანტირებას.

დოკუმენტური წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული და შეფასებული იქნა ფარმაცევტების სასარგებლოდ სააფთიაქო ბიზნესის საკუთრების შემზღუდვის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ის უზრუნველყოფს პროფესიული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას (მათი გადანაცვითილებები უფრო მეტად ორიენტირებულია პაციენტების საჭიროებებზე და არა კომერციულ ინტერესებზე) და ეთიკური სტანდარტების დაცვას, კერძოდ, ფარმაცევტები, როგორც საკუთრების მფლობელები, უფრო მეტად ემორჩილებიან ეთიკურ პრინციპებს და ფოკუსირებულია ხარისხიან მომსახურებაზე, ვიდრე მოგების მაქსიმიზაციაზე. დიდ კორპორაციულ ქსელებზე ნაკლები დამოკიდებულება აფთიაქებს აძლევს მეტ თავისუფლებას, მიაწოდონ მედიკამენტები პაციენტებს საჭიროების მიხედვით და არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის გათვალისწინებით. საკუთრების შემზღუდვა ფარმაცევტებს აძლევს მეტ პროფესიულ დამოუკიდებლობას და ხელს უწყობს მათ უშუალო მონაწილეობას ჯანდაცვის პროცესებში. ფარმაცევტ-მეპატრონეების მჭიდრო კომუნიკაციის შედეგად პაციენტებთან იზრდება მომსახურების ხარისხი და ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობა. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დადებითი მიდგომებისა, საკუთრების შემზღუდვა აფერხებს კონკურენციას, კორპორაციული ქსელები ხშირად უზრუნველყოფენ სერიოზული მასშტაბის ეკონომიას, რაც იწვევს ფასების შემცირებას და მომსახურების გაუმჯობესებას, რაც რთულია დამოუკიდებელი ფარმაცევტ-მეპატრონეებისთვის, რომელთაც ასევე შეიძლება გაუჭირდეთ თანამედროვე

სერვისების დანერგვა, შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო. ყველა ფარმაცევტს არ აქვს მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის გამოცდილება, რამაც შესაძლებელია აფთიაქების ოპერაციული სირთულეები გამოიწვიოს. საკუთრების შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს აფთიაქების რაოდენობის შემცირება, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც დამოუკიდებელ ფარმაცევტებს ფინანსურად უჭირთ ბიზნესის დაწყება.

დასკვნა. სააფთიაქო სექტორში საკუთრების რეგულირება უზრუნველყოფს კონკურენტული, სამართლიანი და ეთიკური გარემოს შექმნას, რაც ხელს უწყობს ხარისხიან მომსახურებას, სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობას და პაციენტთა ინტერესების დაცვას. პროცესის მიმართ დაბალანსებული მიდგომა აუცილებელია, რათა სახელმწიფოებმა ჯანდაცვის პოლიტიკის დაცვის პარალელურად შეინარჩუნონ ფარმაცევტული ბაზრის ფუნქციონირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Morton, F. S., & Kyle, M. K. (2023). *Markets for pharmaceutical products*. National Bureau of Economic Research. https://www.nber.org/system/files/working_papers/w31536/w31536.pdf
2. Azari, Afshin & Peiravian, Farzad & Yousefi, Nazila. (2024). The Type of Pharmacy Ownership and Its Impact on Service Quality and Regulatory Compliance in Community Pharmacies. *Thai Journal of Pharmaceutical Sciences*. 47. 20. 10.56808/3027-7922.2795.
3. Moodley, R., Suleman, F. To evaluate the impact of opening up ownership of pharmacies in South Africa. *J of Pharm Policy and Pract* 13, 28 (2020). <https://doi.org/10.1186/s40545-020-00232-4>
4. Gross M, Volmer D. Restrictions to Pharmacy Ownership and Vertical Integration in Estonia—Perception of Different Stakeholders. *Pharmacy*. 2016; 4(2):18. <https://doi.org/10.3390/pharmacy4020018>.
5. Miramontes Carballada Á, Lois-González RC. Liberalization and Governance in the Geographical Distribution of Pharmacies in Spain. *Int J Environ Res Public Health*. 2021 Dec 21;19(1):34. doi: 10.3390/ijerph19010034. PMID: 35010290; PMCID: PMC8750819
6. Emma Luisa Gallone, Lorenzo Ravetto Enri, Irene Pignata, Francesca Baratta, Paola Brusa, The 2017 deregulation of pharmacies in Italy: Introducing non-pharmacist ownership, *Health Policy*, Volume 124, Issue 12, 2020, Pages 1281–1286, ISSN 0168-8510, <https://doi.org/10.1016/j.healthpol.2020.08.013>.
7. World Health Organization (WHO). (2019). *The legal and regulatory framework for community pharmacies in the WHO European Region*. WHO Regional Office for Europe. Retrieved from <https://iris.who.int/bitstream/handle/10665/326394/9789289054249-eng.pdf>.

ნანა შაშიაშვილი ¹, ნათია კვიფინაძე ¹, ნინო ბაქრაძე ²

სააფთიაქო ბიზნესის საკუთრების რეგულირება ქვეყნების მაგალითზე

¹თსსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი; ²ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია

რეზიუმე

სააფთიაქო საქმიანობის რეგულირება უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფას, ფარმაცევტული ბაზრის სტრუქტურირებაში და სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობის განსაზღვრაში. რეგულაციების მიზანია ხარისხიანი ფარმაცევტული მომსახურების გარანტირება, პაციენტთა უსაფრთხოება, ბაზრის კონკურენტუნარიანობა და სამართლიანი პირობების ჩამოყალიბება. ქვეყნები სხვადასხვა სახის მიდგომებს იყენებენ სააფთიაქო დაწესებულებების მფლობელობის მიმართულებით. ზოგიერთ სისტემაში რეგულაციებით მკაცრად არის განსაზღვრული, რომ აფთიაქები ფარმაცევტებმა ან დამოუკიდებელმა პროფესიონალურმა ჯგუფებმა უნდა მართონ, იმისთვის, რომ მაქსიმალურად შემცირდეს კომერციული ინტერესების გავლენა სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის პროცესზე. ამგვარი მოდელი მნიშვნელოვანია ფარმაცევტული მომსახურების დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. სტატიაში დეტალურად არის გაანალიზებული სააფთიაქო ბიზნესის კუთვნილებასთან დაკავშირებული რეგულაციების განსხვავებული მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამკურნალო საშუალებების ხელმისაწვდომობას ფარმაცევტულ ბაზარზე.

მაია ისპირელი ¹, თამარ ებანოიძე ², გიორგი დურგლიშვილი ², ნატო დურგლიშვილი ²,
ნინო გრძელიძე ³, თამარი ბოჭორიშვილი ¹

ვეულგარული ფსორიაზის ეტიოლოგია, პათოგენეზი და მკურნალობის ალგორითმი (ლიტერატურული მიმოხილვა)

¹საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის სამხედრო ჰოსპიტალი,

²კანისა და ვენ-სნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრი, ³სს „საქართველოს კლინიკები“

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.07>

MAIA ISPIRELI ¹, TAMARA EBANOIDZE ², GIORGI DURGLISHVILI ², NATO DURGLISHVILI ²,
NINO GRDZELIDZE ³, TAMARI BOCHORISHVILI ¹

ETIOLOGY, PATHOGENESIS AND TREATMENT ALGORITHM OF PSORIASIS VULGARIS (LITERATURE REVIEW)

¹Military Hospital of the Ministry of Defense of Georgia;

²National center of dermatology and venereology; ³JS Georgian clinics

SUMMARY

Psoriasis is one of the most common genetic predispositions, autoimmune chronic skin diseases. The etiological factors of the disease are unknown, although great studies have been made in identifying its pathophysiological components. There is a wide range of psoriasis treatments, depending on the specific characteristics of each patient. While choosing a treatment, concomitant diseases should be taken into account.

Keywords: Psoriasis vulgaris , ethyology, pathology, treatment

ფსორიაზი ქრონიკული ანთებითი, აუტოიმუნური, გენეტიკურად განწყობილი კანის დაავადებაა, რომელიც უპირატესად აზიანებს კანს, კანის დანამატებს, თავის თმიან არეს და ხასიათდება ეპიდერმისის ჰიპერპროლიფერაციით [1,2,3]. არსებობს ფსორიაზის გამომწვევი მრავალი ფაქტორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დაავადების პროვოცირება გენეტიკურად განწყობილ ადამიანებში. ასეთი ფაქტორებია სტრესი, ინფექციები, მედიკამენტები, ტრავმა და სხვა [3]. ფსორიაზს, როგორც კანის ქრონიკულ ანთებად დაავადებას, თან ახლავს ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ინვალიდობაც კი [2], სწორედ ამიტომ ის მოითხოვს ხანგრძლივ მკურნალობას და სიმპტომების ეფექტურ კონტროლს.

დაკვირვებებმა აჩვენა, რომ T-helper (Th) ტიპის 17 უჯრედები, ინტერლეიკინი (IL)-17 და IL-23 თამაშობენ მთავარ როლს ფსორიაზის პათოგენეზში, რაც მიზანმიმართულად და მაღალეფექტურად იქნა გამოყენებული ბიოლოგიურ თერაპიაში [9].

ფსორიაზი ატოპიური დერმატიტის შემდეგ მეორე, ყველაზე გავრცელებული დაავადებაა ბავშვთა ასაკში და აღენიშნება დაახლოებით 1%-ს. დაავადება შეიძლება გამოვლინდეს ნებისმიერ ასაკში. ფსორიაზის რისკ ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად, ესაა გარეგანი და შინაგანი რისკის ფაქტორები. გენეტიკური განწყობის ადამიანებში დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მაპროვოცირებელი ფაქტორებით. K.Banaszczyk et al მიხედვით დამამძიმებელი ფაქტორები შეიძლება იყოს სტრესი (6,4%-დან 16,6%-მდე), სეზონური ფაქტორები (9,7%-დან 13,3%-მდე), ინფექციები (3,5%-დან 8,3%-მდე), მზის ზემოქმედება (1,3%-დან 3,5%-მდე) და β-ბლოკატორები (0,9%-დან 2,3%-მდე). თანმხლები დაავადებები მოიცავდა ჰიპერტენზიას (1.1%-დან 27.8%-მდე), შაქრიან დიაბეტს (DM) (7.0%-13.9%), გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს (4.2%-დან 8.1%-მდე) და ტონზილიტს (3.5%-დან 5.4%-მდე) [2]. ბავშვებში ფსორიაზის გამომწვევი შესაძლო მიზეზი არის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები, ემოციური პრობლემები, გარემოს დაბინძურება და იმუნური რეაქტიულობის დაქვეითება. გარდა ამისა, ბოლო გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჭარბი წონა და სიმსუქნე ბავშვებში ფსორიაზის განვითარების რისკ-ფაქტორად ითვლება.

ფსორიაზი ვლინდება რამდენიმე კლინიკური ფორმით, მათ შორის ფსორიაზის ყველაზე გავრცელებულ (დაახლოებით 90%), კლინიკურ ფორმას წარმოადგენს ვულგარული ფსორიაზი. მისი კლასიკური, კლინიკური გამოვლინებაა მკვეთრად კონტურირებული, ვერცხლისფერი ქერქით დაფარული ერთემატოზული ქავანა ბალები. ფსორიაზული ბალები შეიძლება გაერთიანდნენ და დაფარონ კანის საფარველის დიდი ნაწილი.

ფსორიაზის დროს ლეიკოციტებისა და ციტოკინების ურთიერთქმედება იწვევს პათოლოგიურ პროცესს კანში. ფსორიაზის პათოგენები ეფუძნება მუდმივ, ქრონიკულ ანთებას, კერატინოციტების გაძლიერებულ უკონტროლო პროლიფერაციას და დისფუნქციურ დიფერენციაციას. ჰისტოლოგიურად ვხვდებით აკანტოზს - ეპიდერმულ ჰიპერპლაზიას ანთებით ინფილტრატებში, რომელიც შედეგაა დერმის დენდრიტული უჯრედებისაგან, მიკრო და მაკროფაგებისგან, T-უჯრედებისაგან და ნეიტროფილებისაგან. ასევე დამახასიათებელია ნეოვასკულარიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ფსორიაზის ძირითადი ცვლილებები ხდება კანის ყველაზე ზედაპირულ ფენაში ეპიდერმისში, ფსორიაზული ბალთა კერატინოციტების და ეპიდერმისის სხვა შრეების უჯრედების ურთიერთქმედების შედეგად ვრცელდება დერმაში [1,3].

ვულგარული ფსორიაზისთვის დამახასიათებელია აკანტოზი, პარაკერატოზი და კანის ანთებითი ინფილტრატი. ანთებით პროცესში ჩართვა ხდება რეგულატორი T უჯრედების (Treg) მიერ, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ანთების მექანიზმის რეგულაცია. ისინი თრგუნავენ როგორც თანდაყოლილ, ისე ადაპტური იმუნური სისტემის ზოგიერთ ელემენტს პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმებით. T-უჯრედების გარდა კერატინოციტები, ლანგერჰანის უჯრედები, მაკროფაგები და ციტოკინების ზოგიერთი სახეობა წარმოადგენენ აგრეთვე მნიშვნელოვან ფაქტორებს ფსორიაზის პათოგენეზში [1,3]. ანთებითი პროცესის კასკადი იწყება, როდესაც ანტიგენები ააქტიურებენ დენდრიტულ უჯრედებს და ნეიტროფილებს, რომლებიც გამოათავისუფლებენ ციტოკინებს, მათ შორის TNF, γ -ინტერფერონს, ინტერლეიკინს IL-12 და IL-23, რომლებიც იზიდავენ T უჯრედებს, Th-1, Th-17 და Th-22. T-უჯრედები ათავისუფლებენ ციტოკინებს და მხარს უჭერენ კერატინოციტების არაკონტროლირებად დიფერენციაციას და უჯრედული ციკლის ბრუნვას. ციტოკინები იღებენ მონაწილეობას ლეიკოციტების აქტივაციაში, რომლებიც შემდეგში გამოათავისუფლებენ უფრო მეტ ციტოკინებს, რასაც მივყავართ უწყვეტ ანთებით პროცესამდე.

ზოგადად ფსორიაზის მკურნალობის თერაპიის კურსის შერჩევა ხდება ძირითადად დაავადების სიმძიმის, წინა თერაპიის შედეგების, თანმხლები დაავადებების და ამ დაავადებების სამკურნალო პრეპარატების გათვალისწინებით, აგრეთვე ითვალისწინებენ პაციენტის ასაკს, ფსორიაზის კლინიკურ ფორმას, გავრცელების ფართობს და ხარისხს [1].

ვულგარული ფსორიაზის მსუბუქი ფორმის დროს პირველი რიგის პრეპარატებს წარმოადგენს ადგილობრივი პრეპარატები, ფოტოთერაპია და შინაგანად მისაღები პრეპარატები. საშუალო და მძიმე ფორმების შემთხვევაში მკურნალობა ხდება ფოტოთერაპიით ან სისტემური თერაპიით, ბიოლოგიური პრეპარატების ჩათვლით. არაეფექტურობის შემთხვევაში ხდება კომბინირებულად ამ მეთოდების გამოყენება.

A Raharja et al თანახმად ადგილობრივი თერაპია, როგორცაა D ვიტამინის და მისი ანალოგი-კალციპოტრიოლი ან კორტიკოსტეროიდები არის პირველი რიგის პრეპარატები ვულგარული ფსორიაზის თერაპიაში. ადრე პოპულარული დიტრანოლის პრეპარატები იშვიათად გამოიყენება, რადგან ისინი აღიზიანებენ კანს.

A Brendon et al გამოკვლევები A Raharja-გან განსხვავებით თვლის, რომ ვულგარული ფსორიაზის მსუბუქი ფორმის დროს მკურნალობა შესაძლებელია ადგილობრივი თერაპიით - კორტიკოსტეროიდებით, D ვიტამინის წარმოებულებით, რეტინოიდებით, კუპრით,

კერატოლიზური საშუალებებით, როგორებიცაა: შარდოვანა, სალიცილის მუავა, α -ჰიდროქსი მუავა და დამატენიანებელი დამარბილებელი საშუალებები.

A Brandon et al მიხედვით ტაზაროტენი, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ რეტინოიდს (A ვიტამინის წარმოებული) და აქვს კარგი სამკურნალო ეფექტი, არსებული მტკიცებულებების გამო, იწვევს კონტაქტურ დერმატიტს როგორც მონოთერაპიაში, ასევე ადგილობრივ კორტიკოსტეროიდებთან ერთად. მათი გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ორსულებში, ამიტომ მათ შეძლებისდაგვარად თავი უნდა აარიდონ ადგილობრივი რეტინოიდების გამოყენებას. რაც შეეხება ემოლიენტებს, ისინი ზღუდავენ კანის ზედაპირიდან სითხის აორთქლებას, რის შედეგადაც იზრდება რქოვანა შრის დატენიანება. კერატოლიზურ საშუალებებს, მათ შორის სალიცილის მუავას, შარდოვანას და α -ჰიდროქსი მუავებს (გლიკოლის და რძემუავა), აქვთ გარკვეული დადებითი კლინიკური მაჩვენებელი ჰიპერკერატოზული ფსორიაზის დროს, რაც გამოიხატება ერითემის, ქერცლის და ქავილის შემცირებაში. სალიცილის მუავას ძლიერი ამქერცლი ეფექტი, დიდ მასშტაბებზე საშუალებას აძლევს სხვა სამკურნალო აგენტებს ბალთის შრეებში ღრმად შეღწევაში, რაც აძლევს უპირატესობას სხვა სამკურნალო პრეპარატებთან შედარებით [6,1].

A Brandon et al თანახმად კუპრი გამოიყენება ფსორიაზის ადგილობრივი თერაპიის ალტერნატივად და როდესაც მკურნალობა კორტიკოსტეროიდებით და D ვიტამინის ანალოგებით არ იძლევა სასურველ შედეგს, შეიძლება იქნას გამოყენებული ჩასანაცვლებლად. კუპრი შედის მამპუნების შემადგენლობაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს მისი უარყოფითი ეფექტი, რაც გამოიხატება კონტაქტური დერმატიტის და ფოლიკულიტის სახით, რაც ზღუდავს მის გამოყენებას [6,1].

LASHA TCHELIDZE, ANKA KOBAKHIDZE*

ALLERGIC RHINITIS

Tbilisi State Medical University

SUMMARY

Allergic rhinitis is a widespread allergic disease, with 35-40% prevalence in the world population. It is characterized with increasing frequency, particularly in children's population. Aim: Study of psycho-emotional profile in adolescents with allergic rhinitis of different severity. Materials and methods: Single-stage research was conducted, in compliance with the ethical norms. Study included 86 children (41% girls and 45% boys) of age from 11 to 13 years with allergic rhinitis of different severity and 30 healthy children. For the purpose of study of the patients' psychological profile Esenek Personality Questionnaire (EPQ) intended for assessment of characterological and individual psychological features in children and adolescents (10-15 years) was used.

Conclusion: according to the research results, allergic rhinitis is characterized with emotional instability, anxiety, as manifested by unsatisfactory adaptation, instable nature, depression, low resistance to the stress situations. Based on the conducted research, we regard that individual assessment of psychological profile of patients with allergic rhinitis would be reasonable, for the purpose of management optimization

Keywords: allergic rhinitis, anxiety, psychological profile

ალერგიული რინიტი ფართოდ გავრცელებული ქრონიკული ალერგიული დაავადებაა, რომლის გავრცელება პლანეტის მოსახლეობის 35-40%-ში ფიქსირდება, ხასიათდება სიხშირის მატების ტენდენციით, განსაკუთრებით ბავშვთა პოპულაციაში [1,2,3].

არსებული მტკიცებულებების მიხედვით, ალერგიული რინიტი არ შემოიფარგლება მხოლოდ სიმპტომებით, საშუალო და მძიმე მიმდინარეობის დროს დაავადება აუარესებს ცხოვრების ხარისხს. გამოხატული სიმპტომები განაპირობებს: ძილის დარღვევას, დაღლილობას, გაღიზიანებას, ფრუსტრაციას, მოტივაციის ან ქცევის ცვლილებებს, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითებას [4,5]. თავის მხრივ, ძილის დარღვევა სარწმუნო გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ზრდის დეპრესიის, შფოთვისა და ფსიქიკური დაავადებების რისკს [6,7]. ფსიქო-სოციალური ფაქტორები ზემოქმედებენ ატოპურ დარღვევებზე და, ასევე, ატოპური დარღვევები ცვლიან ფსიქიკურ ჯანმრთელობას [8,9]. სისტემატური მიმოხილვისა და მეტა-ანალიზის შედეგებით გამოვლინდა ორმხრივი კავშირი ფსიქო-სოციალურ ფაქტორებსა და მომავალ ატოპურ დარღვევებს შორის და, ასევე, ატოპურ დარღვევებს და მომავალში ფსიქიკური ჯანმრთელობის ცვლილებებს შორის [10]. ჯანმრთელი პოპულაციისა და ატოპური დარღვევებით პაციენტების ქვეჯგუფების მეტა-ანალიზით გამოვლინდა ფსიქო-სოციალური ფაქტორების ეტიოლოგიური და პროგნოზული როლი. პოპულაციური კვლევებით, ალერგიული რინიტით პაციენტებს უფრო მეტად გამოუვლინდათ დეპრესიის, შფოთვის, ძილის დარღვევის და სხვა ფსიქო-სოციალური პრობლემები, ვიდრე ალერგიული პათოლოგიის არმქონე პოპულაციას [11,12].

ალერგიული რინიტის ქრონიკული მიმდინარეობა, ხანგრძლივი თერაპიის აუცილებლობა განაპირობებს ემოციური განვითარების შეფერხებას, ამუხრუჭებს მოქმედების აქტიური ფორმების

განვითარებას, ხელს უწყობს ისეთი პიროვნული თვისებების ფორმირებას, როგორიცაა: ემოციური ლაბილობა, ისტეროიდულობა, ეგოცენტრიზმი, გაუბედაობა, როლური ურთიერთობების უნარის დაქვეითება, რწმენის დაკარგვა. დაავადების გამწვავება აყალიბებს შფოთვის, გარიყულობის გრძნობას, რომლის განმტკიცება ხდება თანატოლებისაგან განსხვავებულობის განცდით. პიპერმზრუნველობის პირობები ხელს უწყობს ხელოვნური ინფანტილიზაციის ფორმირებას. მოზარდებში ყალიბდება შეკავებული, არაადექვატური აგრესია, ინტერპერსონალურ ურთიერთობათა კონსტრუქციული გადანაცვების პრობლემები, ინფანტილური მოქმედება, მომთხოვნის ხასიათი [11,13].

ამრიგად, ალერგიული რინით დაავადებას სერიოზული შედეგები მოჰყვება ცხოვრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების მნიშვნელოვანი შეზღუდვის თვალსაზრისით. ფსიქოლოგიური პრობლემები ხშირად ხელს უშლის ავადმყოფს სრულყოფილად შეასრულოს ექიმის დანიშნულება და რჩევები. სწორედ ამიტომ, ალერგიული რინიტის კლინიკური მენეჯმენტის გაუმჯობესებისათვის ფსიქო-ქცევითი სფერო კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

შრომის მიზანია ბავშვთა პოპულაციაში ფსიქოემოციური პრობლემის შესწავლა სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე ალერგიული რინით შეპყრობილ მოზარდებში.

მასალა და მეთოდები. კვლევა ჩატარდა პედიატრიის ინსტიტუტსა და კერძო სკოლაში “ოლიმპი”. ჩატარდა ერთმომენტიანი კვლევა, ეთიკური ნორმების დაცვით (პაციენტის ინფორმირებულობა, პიროვნების პატივისცემა, სამართლიანობა და სარგებლიანობა). კვლევიდან გამოირთო პაციენტები, რომელთაც ვერ დაასრულეს კვლევა. კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები: ასაკი, დადასტურებული დიაგნოზი, რეპრეზენტირებული სიმპტომები. კვლევიდან გამორთვის კრიტერიუმები: პაციენტები ატოპური დერმატიტით ან სხვა თანმხლები დაავადებით, გასულ კვირაში მწვავე ინფექციის არსებობა ან დეპრესიისა და შფოთვის გამომწვევი ნეგატიური მოვლენების არსებობა.

კვლევამ მოიცვა 11-13 წლამდე ასაკის (გოგონა - 41, ვაჟი - 45) სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე ალერგიული რინით დაავადებული 86 ბავშვი და ჯანმრთელი 30 ბავშვი. გამოკვლეულ პაციენტთა 34,2%-ში კონსტატირებულ იქნა ალერგიული რინიტის პერსისტიული მიმდინარეობა, პაციენტთა 65,8%-ში ინტერმისიული მიმდინარეობა. დიაგნოზის დაზუსტება წარმოებდა ARIA კრიტერიუმების მიხედვით [14]. გამოკვლეული კონტინგენტის შემთხვევათა 35%-ში კონსტატირებულ იქნა ალერგიული რინიტის მსუბუქი მიმდინარეობა, პაციენტთა 32,5%-ში - საშუალო სიმძიმის პერსისტიული მიმდინარეობა და 32,5%-ში დიაგნოსტირებულ იქნა მძიმე მიმდინარეობის ალერგიული რინიტი.

პაციენტის ფსიქოლოგიური პროფილის შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა გ. აიზენკის მიერ მოწოდებული პიროვნული კითხვარი (EPQ – Esenek Persohality Questionnaire), რომელიც განკუთვნილია ბავშვებსა და მოზარდთა (10-15 წელი) ქარაქტეროლოგიური და ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიური თავისებურებების შესაფასებლად. კითხვარი შედგებოდა 57 კითხვისგან. 24 კითხვა განკუთვნილი იყო ექსტრა-ინტერავერსიის, 24 - ნეიროტიზმის სადიაგნოსტიკოდ; 12 კითხვა შეადგენდა “სიცრუის” სკალას.

პასუხი ფასდება ბალური სისტემით - 1 ბალი შესაბამის კითხვაზე. ექსტრავერსიის-ინტრავერსიის შეფასების სკალა: მნიშვნელოვანი ინტრავერსია 1-7 ბალი; ზომიერი - 8-11 ბალი; ზომიერი ექსტრავერსია -12-18 ბალი; მნიშვნელოვანი ექსტრავერსია - 19-24 ბალი.

ნეიროტიზმის შეფასების სკალა - ემოციური სტაბილურობა: დაბალი - 10-დე; საშუალო - 11-14. ემოციური არასტაბილურობა: მაღალი - 15-18; ძალიან მაღალი -19-24; “სიცრუის” სკალის

მაჩვენებელი ფასდებოდა 4-5 ბალით, იგი არის რესპოდენტის ქცევის დემონსტრირების თავისებური ინდიკატორი.

ალერგიული რინით შეპყრობილი მოზარდების ფსიქო-ემოციური სფერო ისწავლებოდა, ასევე, ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის კითხვარის (Symptom Checklist-90-Revised -SCL-90-R) მიხედვით [16]. ფსიქიკური მდგომარეობის თვითშეფასების კლინიკური სკალა ფართოდ გამოიყენება ამბულატორიულ და სტაციონარულ პრაქტიკაში [15] მოცემულ მომენტში ფსიქოლოგიური სტატუსის განსაზღვრისათვის. კითხვარი მოიცავს 90 პუნქტს და რანჟირებულია 5 ბალიანი სკალის მიხედვით (0-დან 4-მდე). 0 შეესაბამება “არარსებობის” პოზიციას, 4 – “მაქსიმალურ გამოხატულებას”. პასუხების ინტერპრეტაცია წარმოებს 9 ძირითადი სკალის მიხედვით: სომატიზაცია – Somatization, ობსესიურობა-კომპულსიურობა – Obsessive-Compulsive, ინტერპერსონალური სენსიტიურობა – Interpersonal Sensitivity, დეპრესია – Depression, შფოთვა – Anxiety, მტრული განწყობა – Anger-Hostility, ფობიური შფოთვა – Phobic Anxiety, პარანოიდალური ტენდენციები – Paranoid Ideation, ფსიქოტიზმი – Psychoticism.

კვლევის ბოლო ეტაპზე მონაცემების მათემატიკურ-სტატისტიკური დამუშავება წარმოებდა პროგრამული პაკეტის SPSS/v12 საშუალებით. გ. აიზენკას მეთოდით ინტრავერსია-ექსტრავერსიის დონის შეფასების შედეგები მოცემულია ცხრილში №1.

ცხრილი 1. ინტროვერსია-ექსტრავერსიის დონე ალერგიული რინიტის სიმძიმის გათვალისწინებით

დაავადების სიმძიმის ხარისხი	ინტროვერსია		ექსტრავერსია	
	მნიშვნელოვანი	ზომიერი	ზომიერი	მნიშვნელოვანი
მსუბუქი	-	13,3%	60%	26,7%
საშუალო	14,3%	42,9%	35,7%	7,1%
მძიმე	21,4%	50%	28,6%	-

კვლევის შედეგებით მნიშვნელოვანი და ზომიერი ინტროვერსიისადმი განწყობა დაფიქსირდა მძიმე და საშუალო სიმძიმის მიმდინარე ალერგიული რინიტის შემთხვევებში. ასეთი პაციენტები ხშირად იკეტებიან საკუთარ, შინაგან სამყაროში. დაავადებულ ბავშვთა ეს ნაწილი თავშეკავებულები არიან, კომუნიკაციას ინარჩუნებენ მხოლოდ მშობლებთან და ახლო მეგობრებთან. სერიოზულად ეკიდებიან გადაწყვეტილების მიღებას, ყველაფერში უყვართ წესრიგი, აკონტროლებენ საკუთარ გრძნობებს. პესიმისტურად არიან განწყობილები, იშვიათად ავლენენ აგრესიულ განწყობას. მნიშვნელოვანი ექსტრავერტირება აღენიშნათ მსუბუქი მიმდინარეობის ალერგიული რინით დაავადებულ ბავშვთა 26,7%-ს, ზომიერი კი - 60%-ს, რაც მოწმობს ამ კონტინგენტში აქტიური კომუნიკაციისა და ნაცნობთა წრის გაფართოების აუცილებლობას. ისინი მოქმედებენ მომენტის გავლენით, არიან იმპულსურები, ოპტიმისტები, კეთილგანწყობილები, ქმედითები და მოძრავნი. ამავე დროს არიან ფიციხი ხასიათის, შეინიშნება ტენდენცია აგრესიულობისაკენ.

გ.აიზენკის მეთოდის მიხედვით ნეიროტიზმის დონის კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში №2.

ცხრილი 2. ნეიროტიზმის დონე ალერგიული რინიტის სიმძიმის გათვალისწინებით

დაავადების სიმძიმის ხარისხი	ემოციური მდგრადობა		ემოციური ლაბილობა	
	მაღალი	საშუალო	საშუალო	მაღალი
მსუბუქი	20%	66,7%	13,3%	-
საშუალო	7,1%	28,6%	50%	14,3%
მძიმე	-	14,3%	28,6%	57,1%

ნეიროტიზმის მაჩვენებელი დაკავშირებულია ნერვული სისტემის ლაბილობის მაჩვენებლებთან, ახასიათებს ემოციურ მდგრადობას ან ემოციურ ლაბილობას (ემოციური სტაბილურობა ან არასტაბილურობა). კვლევის შედეგების მიხედვით საკონტროლო ჯგუფში (30 ჯანმრთელი ბავშვი) კონსტატირებულ იქნა ზომიერი ინტერაქციისადმი განწყობა შემთხვევათა 10%-ში, ზომიერი ექსტრავერსიისადმი - 18,2%-ში. ნეიროტიზმის კვლევის მიხედვით კი 70,85-ში გამოვლინდა მაღალი დონის ემოციური სტაბილურობა.

ალერგიული რინიტის მსუბუქი ფორმის უმეტესი შემთხვევები ხასიათდებოდა საშუალო და მაღალი ემოციური მდგრადობით, რაც ამტკიცებს, რომ შენახულია სიტუაციური მიზანსწრაფვა ჩვეულებრივ და სტრესულ სიტუაციებში. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ბავშვთა ოჯახებში ფსიქოლოგიური კლიმატი არ არის დაძაბული, ადაპტაციური პროცესები მიმდინარეობენ დამაკმაყოფილებლად. თვით ბავშვებს გააჩნიათ სწრაფვა ლიდერობისა და კომუნიკაციებისაკენ. ფსიქიკური მდგომარეობის თვითშეფასების კითხვარის (Symptom Checklist-90- Revised -SCL-90-R) მიხედვით მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში №3.

ცხრილი 3. ფსიქიკური მდგომარეობის თვითშეფასების კითხვარის შედეგები

Mean (S D)				
	პაციენტი	კონტროლი	T value	P value
სომატიზაცია	1.56 (0.53)	1.37 (0.48)	8.29	.00a
ობსესიურობა - კომპულსიურობა	1.52 (0.59)	1.50 (0.59)	0.87	.39
ინტერპერსონალური სენსიტიურობა	1.56 (0.64)	1.65 (0.61)	3.19	.00a
დეპრესია	1.71 (0.68)	1.62 (0.54)	3.16	.00a
შფოთვა	1.63 (0.66)	1.46 (0.55)	5.89	.00a
მტრული განწყობა	1.44 (0.54)	1.39 (0.43)	1.91	.06
ფობიური შფოთვა	1.24 (0.41)	1.23 (0.41)	0.82	.42
პარანოიდალური ტენდენციები	1.45 (0.58)	1.43 (0.57)	0.77	.44
ფსიქოტიზმი	1.46 (0.51)	1.29 (0.42)	7.59	.00a

შენიშვნა: $aP<.01$.

ალერგიული რინიტით დაავადებულ პაციენტებში ფსიქოლოგიური პროფილის შეფასებამ ცხადყო სომატიზაციის, ინტერპერსონალური სენსიტიურობის, შფოთვის, დეპრესიისა და ფსიქოტიზმის სარწმუნოდ მაღალი დონე არაალერგიულ პოპულაციასთან შედარებით. სქესის მიხედვით შეფასებამ გამოავლინა ვაჟთა შორის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის სტატისტიკურად სარწმუნო დარღვევები გოგონებთან შედარებით, განსაკუთრებით: სომატიზაციის ($P=0,01$), ობსესიურობა-კომპულსიურობის ($P=0,02$), ინტერპერსონალური სენსიტიურობის ($P=0,02$), დეპრესიის ($P=0,00$), ფობიური შფოთვის ($P=0,01$), პარანოიდალური ტენდენციების ($P=0,01$) მიხედვით. ამასთანავე, შედარებითმა ანალიზმა არ გამოავლინა პერსისტიული და ინტერმისიული ალერგიული რინიტის მქონე პაციენტების ფსიქო-ემოციურ დარღვევებს შორის სხვაობა.

დასკვნა: კვლევის შედეგების მიხედვით, ალერგიული რინიტისათვის დამახასიათებელია ემოციური ლაბილობა, შფოთვა, რაც ვლინდება არადადამაკმაყოფილებელი ადაპტაციით, ხასიათის ლაბილობით, დეპრესიით, სტრესული სიტუაციებისადმი დაბალი გამძლეობით. ალერგიული რინიტის დროს მოზარდებს გამოუვლინდათ ინტერპერსონალური სენსიტიურობა, მტრული განწყობების არსებობა, იმპულსურობა, ინტერესთა ცვლილებები. საყურადღებოა, რომ პაციენტებს, ნეიროტიზმის სკალის მაღალი მაჩვენებლებით, არასასურველ სტრესულ სიტუაციებში შეიძლება განუვითარდეთ ნევროზი.

მიღებული შედეგების საფუძველზე ალერგიული რინიტის არასრული კონტროლის ფსიქოლოგიურ პრედიქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ პაციენტების შფოთვა, დეპრესია, ალექსითიმია, დაავადებისადმი ნევრასთენიული ტიპის დამოკიდებულება და ფსიქოპათოლოგიური დარღვევების გამოხატული სომატიზაცია. აღნიშნული საჭიროებს პაციენტის, მისი ოჯახის წევრების, პედიატრის, ბავშვთა ფსიქოლოგის და პედაგოგის მიერ საგანმანათლებლო და მიზანმიმართულ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას.

ამრიგად, ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ალერგიული რინიტით დაავადებულ ბავშვთა ასაკის ზოგიერთ პოპულაციაში გამოყენებულ იქნას ფსიქოლოგის ჩართვა, ფსიქოლოგიური პროფილის ინდივიდუალური შეფასება პაციენტთა მართვის ოპტიმიზაციის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Montefort S, Bjorkston B, Lai C, Strachan D, Weiland S et al. Worldwide time trends in the prevalence of symptoms of asthma, allergic rhinoconjunctivitis, and eczema in childhood: ISAAC Phases One and Three repeat multicountry cross-sectional surveys. *Lancet* 2006; 368:733–743.
2. Celik G., Mungan D., Abadoglu O., Pýnar N. M., Mýsrlygil Z. Direct cost assessments in subjects with seasonal allergic rhinitis living in Ankara, Turkey. // *Allergy Asthma Proc*, 2004; 25: 107–113.
3. Li F, Zhou Y, Li S, Jiang F, Jin X, Yan C, et al. Prevalence and risk factors of childhood allergic diseases in eight metropolitan cities in China: a multicenter study. *BMC Public Health*. 2011;11:437.
4. Nathan RA. The burden of allergic rhinitis. *Allergy Asthma Proc*. 2007;28:3-9.
5. Camelo-Nunes IC, Solé D. Allergic rhinitis: indicators of quality of life. *J Bras Pneumol*. 2010;36:124-33.
6. Szklo-Coxe M, Young T, Peppard PE, Finn LA, Benca RM. Prospective associations of insomnia markers and symptoms with depression. *Am J Epidemiol*. 2010;171:709-20.
7. Blaiss MS. Pediatric allergic rhinitis: physical and mental complications. *Allergy Asthma Proc*. 2007;29:1-6.
8. Timonen M, Jokelainen J, Hakko H, SilvennoinenKassinen S, et al. Atopy and depression: results from the Northern Finland 1966 Birth Cohort Study. *Mol Psychiatry*. 2003;8:738-44.
9. Postolache TT, Komarow H, Tonelli LH. Allergy: a risk factor for suicide? *Curr Treat Options Neurol*. 2008;10:363-76.
10. Chida Y, Hamer M, Steptoe A. A bidirectional relationship between psychosocial factors and atopic disorders: a systematic review and meta-analysis. *Psychosom Med*. 2008;70:102-16.
11. Wu WC, Chang HY, Kuo KN, Chen CY, Tu YC, Yang YH. Psychosocial problems in children with allergic diseases: a population study in Taiwan. *Child Care Health Dev*. 2011;37:662-70.
12. Slattery MJ, Essex MJ. Specificity in the association of anxiety, depression, and atopic disorders in a community sample of adolescents. *J Psychiatr Res*. 2011;45:788-95.
13. Lv X, Xi L, Han D, Zhang L. Evaluation of the psychological status in seasonal allergic rhinitis patients. *ORL J Otorhinolaryngol Relat Spec*. 2010;72:84-90.
14. Allergic Rhinitis and its Impact on Asthma update (ARIA 2012).
15. Бурминский Д.С. Сравнительное исследование особенностей социально- психического функционирования больных депрессией в условиях стационара и поликлиники / Аффективные и шизоаффективные расстройства. Материалы Российской конференции. М. 2003. С. 25.
16. Franke G.H. SCL-90-R. Die Symptomcheckliste von Derogatis. Deutsche Version. Göttingen: Testzentrale, 2002. 329 p.

ნინო ადამია, ლიანა ჟორჟოლიანი, მარიამ თუთაშვილი, ქეთევან ბარაბაძე, ირმა უბირია,
თამარ ტაბატაძე, შორენა ქართველიშვილი, ლაშა ჭელიძე, ანკა კობახიძე

ალერგიული რინიტი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ალერგიული რინიტი ფართოდ გავრცელებული ქრონიკული ალერგიული დაავადებაა, რომლის გავრცელება პლანეტის მოსახლეობის 35-40%-ში ფიქსირდება, ხასიათდება სინძირის მატების ტენდენციით, განსაკუთრებით ბავშვთა პოპულაციაში. შრომის მიზანია ბავშვთა პოპულაციაში ფსიქოემოციური პრობლემის შესწავლა სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე ალერგიული რინიტით შეპყრობილ მოზარდებში.

კვლევამ მოიცვა 11-13 წლამდე ასაკის (გოგონა – 41, ვაჟი - 45) სხვადასხვა სიმძიმით მიმდინარე ალერგიული რინიტით დაავადებული 86 ბავშვი და ჯანმრთელი 30 ბავშვი. პაციენტის ფსიქოლოგიური პროფილის შესწავლის მიზნით გამოყენებულ იქნა გ. აიზენკის მიერ მოწოდებული პიროვნული კითხვარი (EPQ – Esenek Persohality Questionnaire), რომელიც განკუთვნილია ბავშვებსა და მოზარდთა (10-15 წელი) ქარაქტეროლოგიური და ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიური თავისებურებების შესაფასებლად. კვლევის შედეგების მიხედვით, ალერგიული რინიტისათვის დამახასიათებელია ემოციური ლაბილობა, შფოთვა, რაც ვლინდება არადაამკმაყოფილებელი ადაპტაციით, ხასიათის ლაბილობით, დეპრესიით, სტრესული სიტუაციებისადმი დაბალი გამძლეობით.



თეა ზარქუა, ირინე კეკელიძე, მაია ბერიძე

ფარმაცევტის როლი ჯანდაცვის სისტემაში

თსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.18>

TEA ZARKUA, IRINE KEKELIDZE, MAIA BERIDZE

THE ROLE OF THE PHARMACIST IN THE HEALTHCARE SYSTEM

TSMU, Department of Social and Clinical Pharmacy

SUMMARY

The pharmacist in modern healthcare is more than just a dispenser of medications. His role, which was previously primarily associated with the pharmacy, has now expanded to include active participation in the management of patients' health. The work they do has a fruitful impact not only on treatment outcomes, but also on overall public health and systemic effectiveness. Clinical consultations, medication therapy management, preventive measures, and public education are all part of the functions performed by pharmacists.

Keywords: pharmacist, healthcare system, role

ფარმაცევტები ჯანდაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. მათი პროფესიული მოვალეობები ცდება მხოლოდ მედიკამენტების გაცემასა და რეცეპტების დამუშავებას. თანამედროვე ჯანდაცვაში ფარმაცევტი აქტიურად მონაწილეობს პაციენტის სამკურნალო პროცესში, რაც მოიცავს კლინიკური კონსულტაციების გაწევას, მედიკამენტური თერაპიის, ქრონიკული დაავადებების მართვას, პრევენციული პროგრამების განხორციელებას, რეცეპტების გადამოწმებას და პრობლემების გამოვლენას და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დონის გაძლიერებას.

გლობალური ჯანდაცვის სისტემების ტრანსფორმაციის ფონზე ფარმაცევტების როლი სულ უფრო ფართოვდება და საკმაოდ მრავალფეროვანია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ შემდეგ ჭრილში:

- **კლინიკური ფარმაცია** - მედიკამენტების მართვა და მონიტორინგი.
- **პაციენტისთვის კონსულტაციის განწევა** - მედიკამენტებზე სწორი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება.
- **ჯანმრთელობის განათლება** - ჯანმრთელობის ცხოვრების წესის გაუმჯობესება.

ნამღებისადმი მდგრადობის ზრდა, ქრონიკული დაავადებების პრევალენტობა და მოსახლეობის ხანდაზმულობა ზრდის იმ მოთხოვნებს, რასაც ჯანდაცვის სისტემები აწყდებიან. ამ კონტექსტში, ფარმაცევტს ეკისრება მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა როგორც სამედიცინო რესურსების ოპტიმიზატორს, ისე ჯანმრთელობის განათლების გამავრცელებელს [1].

თანამედროვე ფარმაცევტი აღარ განიხილება მხოლოდ როგორც მედიკამენტების გამცემი, არამედ როგორც სრულფასოვანი ჯანდაცვის პროფესიონალი, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს პაციენტის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. მათი ჩართულობა მოიცავს როგორც კლინიკურ კონსულტაციებს, ისე ფართო სპექტრის საზოგადოებრივ ინტერვენციებს. ძირითადი ფუნქციები, რომლებიც ფარმაცევტს ენიჭება თანამედროვე ჯანდაცვაში, მოიცავს შემდეგს:

1. **მედიკამენტური თერაპიის მართვა** - ფარმაცევტები ახორციელებენ პაციენტისთვის დანიშნული მედიკამენტების შეფასებას თერაპიული ეფექტურობის, უსაფრთხოების და პოტენციური ურთიერთქმედებების კუთხით. მათ მიერ ჩატარებული მედიკამენტური მიმოხილვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიფარმაციის შემთხვევებში, რაც ხშირია ხანდაზმულ და ქრონიკულად დაავადებულ პაციენტებში. ფარმაცევტები ხშირად სთავაზობენ ექიმებს მკურნალობის ოპტიმიზაციის გზებს, რითაც იზრდება თერაპიის ეფექტურობა [3].

2. **პაციენტისთვის კონსულტაციის განწევა** - ფარმაცევტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს პაციენტის ინფორმირებაში მედიკამენტის სწორად მიღების შესახებ. მათ ევალებათ განუმარტონ პაციენტებს დოზირების რეჟიმი, გვერდითი ეფექტები, უკუჩვენებები და შესაბამისი ცხოვრების წესის რეკომენდაციები. შესაბამისი განათლების გარეშე, მედიკამენტური თერაპიის შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს, განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების მკურნალობისას.

3. **პრევენციული ჯანდაცვა და ვაქცინაცია** - ბოლო წლების განმავლობაში ფარმაცევტები სულ უფრო მეტად ერთვებიან პრევენციულ პროგრამებში, რაც მოიცავს ვაქცინაციის ჩატარებას, კერძოდ ფარმაცევტებს უკვე აქვთ უფლება გააკეთონ ვაქცინა, მაგ. გრიპის, COVID-19-ის, პაპილომავირუსის ვაქცინები, რაც ზრდის ვაქცინებზე ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მცირე დასახლებებში. ასევე მოსახლეობას აწვდიან სრულ ინფორმაციას ვაქცინების მნიშვნელობასა და უსაფრთხოებაზე, თუ როდის და რომელი ვაქცინაა რეკომენდებული კონკრეტული ასაკისა თუ რისკ-ფაქტორების მიხედვით. მრავალ ქვეყანაში აფთიაქები მოიაზრებიან „ჯანდაცვის წინა ხაზად“, სადაც პაციენტებს მარტივად შეუძლიათ მიიღონ პირველი რჩევა და მხარდაჭერა ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით [4].

ფარმაცევტების როლი პრევენციულ ჯანდაცვასა და ვაქცინაციაში იზრდება, რადგან ისინი ჯანდაცვის სისტემაში უფრო აქტიურ და ხელმისაწვდომ ფიგურებად განიხილებიან. მათი ჩართულობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

ფარმაცევტები აქტიურად მონაწილეობენ პრევენციულ ჯანდაცვაში, მათ შორის: პაციენტებს ეხმარებიან ცხოვრების ჯანსაღი წესის, კვების, ფიზიკური აქტივობისა და დაავადებების პრევენციის შესახებ, აფასებენ არტერიული წნევის, გლუკოზის დონეს, ქოლესტერინს და სხვა მაჩვენებლებს, ზედამხედველობენ მედიკამენტების სწორად გამოყენებას და ეხმარებიან ქრონიკული დაავადებების მართვაში [5].

4. **სოციალურ ჯანდაცვაში ჩართულობა** - ფარმაცევტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში — მათ მიერ მიწოდებული სერვისები შეამცირებს ჰოსპიტალიზაციას, ხელს უწყობს წამლების რაციონალურ გამოყენებას და ამცირებს ჯანდაცვის სისტემის ფინანსურ დატვირთვას. განსაკუთრებით პანდემიისა და ჯანდაცვის კრიზისების დროს, ფარმაცევტებმა დაამტკიცეს, რომ ისინი სანდო და ხელმისაწვდომი პროფესიონალები არიან.

5. **ქრონიკული დაავადებების მართვა** - ფარმაცევტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც გამოიხატება დოზირების კორექციასა და მონიტორინგში, წამლების ეფექტურობისა და უსაფრთხოების შემოწმებაში, კლინიკური პროტოკოლების დაცვაში, პოლიფარმაციის რისკების შემცირებაში, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მხარდაჭერაში, განსაკუთრებით კლინიკური და პირველადი ჯანდაცვის დონეზე [1,3].

ფარმაცევტი განიხილება როგორც ჯანდაცვის გუნდის ინტეგრირებული წევრი. დაავადებათა მართვის ინტეგრირებულ სისტემაში ფარმაცევტის ოფიციალური ჩართვა მეტად მნიშვნელოვანია. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროფესიონალთა მულტიდისციპლინური თანამშრომლობის ხარისხზე. ამ კონტექსტში ფარმაცევტი აღარ არის იზოლირებული სპეციალისტი აფთიაქის სივრცეში, არამედ იგი აქტიურად მონაწილეობს სამედიცინო გუნდთან კოორდინირებულ საქმიანობაში, რაც მიზნად ისახავს პაციენტის ჯანმრთელობის შედეგების გაუმჯობესებას.

ფარმაცევტების ინტეგრაცია კლინიკურ გარემოში მნიშვნელოვნად ზრდის მკურნალობის ხარისხს. ფარმაცევტის ჩართულობა კლინიკურ პროცესში შეიძლება შემდეგნაირად გამოვსახოთ:

ექიმის დიაგნოზი



რეცეპტის გამოწერა



ფარმაცევტი:

- ამონშებს დოზას და ინტერაქციებს
- აძლევს პაციენტს რეკომენდაციებს
- ატყობინებს ექიმს საჭიროების შემთხვევაში



პაციენტის მონიტორინგი და მხარდაჭერა

ამ სქემიდან ჩანს, რომ ფარმაცევტი არის აქტიური კლინიკური რგოლი, რომლებიც მონაწილეობენ და აფასებენ მკურნალობის სქემას და წარმოადგენენ რეკომენდაციებს ექიმებისა და ექთნებისთვის. კვლევები მიუთითებს, რომ კლინიკურ გუნდში ფარმაცევტის ჩართულობა ამცირებს მედიკამენტურ შეცდომებს, აჩქარებს რეაბილიტაციის პროცესს და ამცირებს ხარჯებს. ფარმაცევტები უზრუნველყოფენ სპეციალიზირებულ ინფორმაციას მედიკამენტების შესახებ - დოზირება, ფარმაკოკინეტიკა, ურთიერთქმედებები და უსაფრთხოების პროფილი. ეს ინფორმაცია ექიმებისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს სწორ და მტკიცებულებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მისაღებად, რაც განსაკუთრებით კრიტიკულია რთულ და მრავალსისტემურ პათოლოგიებთან მუშაობისას [1,5].

თანამედროვე ჯანდაცვაში პაციენტზე ორიენტაცია ცენტრალიზებულია. ამ მოდელში ფარმაცევტი ასრულებს როლს არა მხოლოდ როგორც ტექნიკური ცოდნის მატარებელი პროფესიონალი, არამედ როგორც კომუნიკაციის ხიდი პაციენტსა და სამედიცინო გუნდს შორის.

ფარმაცევტები ხშირად უწევენ პაციენტებს კონსულტაციას მედიკამენტის გაცემამდე, აგროვებენ უკუკავშირს და ეხმარებიან მკურნალობის პროცესის გაუმჯობესებაში [2].

მიუხედავად იმისა, რომ ფარმაცევტების პროფესიული ჩართულობა თანამედროვე ჯანდაცვაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, რეალურ პრაქტიკაში ჯერ კიდევ მრავალი ბარიერია. ეს გამოწვევები სისტემური, იურიდიული და სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული, რაც აფერხებს პროფესიის სრულ პოტენციალს. მიუხედავად ამისა, ფარმაცევტები პროფესიული თვალსაზრისით მუდმივად ვითარდებიან ისეთი მიმართულებებით, როგორცაა კლინიკური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

ჯანდაცვის სისტემის სტრუქტურულ დონეზე ფარმაცევტების ინტეგრაცია ჯერ კიდევ არასაკმარისია. ისინი ხშირად ვერ მონაწილეობენ კლინიკურ კონფერენციებში, არ აქვთ წვდომა პაციენტის სრულ სამედიცინო ჩანაწერებზე და ამით იზღუდება მათი ეფექტიანობა.

ფარმაცევტების უფრო ინტეგრირებული ჩართულობა ჯანდაცვის სისტემაში და მათი უკეთესი კომუნიკაცია ექიმებთან და ექთნებთან მნიშვნელოვნად გაზრდის მკურნალობის შედეგებს, შეამცირებს ჰოსპიტალიზაციას და ჯანდაცვის სისტემის ხარჯებს. ფარმაცევტი, როგორც ჯანდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი წევრი, უნდა იყოს ადეკვატურად აღიარებული, რათა გააუმჯობესოს პაციენტთა ჯანმრთელობა და ხელი შეუწყოს ჯანდაცვის სისტემის მდგრადობას [1,2].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization (WHO). "The role of the pharmacist in the healthcare system", WHO, 2006. <https://apps.who.int/iris/handle/10665/69399>
2. International Pharmaceutical Federation (FIP). "Pharmacy workforce intelligence: global trends report", 2020. <https://www.fip.org/files/content/publications/2020/FIP-Pharmacy-Workforce-Intelligence-Report.pdf>
3. ვერიშვილი „სოციალური ფარმაცია“. 2001წ.
4. Willis M. Richardson, Albert I Wertheimer / "Pharmacists as Immunizers: The Role of Pharmacies in Promoting Immunization Campaigns and Counteracting Vaccine Hesitancy".
5. Rhodes, L.A., Williams, D.M., Marciniak, M.W., Weber, D.J. / "Community pharmacists as vaccine providers".

თეა ზარქუა, ირინე კეკელიძე, მაია ბერიძე

ფარმაცევტის როლი ჯანდაცვის სისტემაში

თსსუ სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი

რეზიუმე

ფარმაცევტი თანამედროვე ჯანდაცვაში უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ მედიკამენტების გამცემი. მისი როლი, რომელიც ადრე ძირითადად აფთიაქთან იყო დაკავშირებული, ახლა სულ უფრო გაფართოვდა და აქტიურად მონაწილეობს პაციენტების ჯანმრთელობის მართვაში. მათ მიერ განეული სამუშაო ნაყოფიერ გავლენას ახდენს არა მხოლოდ მკურნალობის შედეგებზე, არამედ საერთო საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და სისტემურ ეფექტიანობაზე. კლინიკური კონსულტაციები, მედიკამენტური თერაპიის მართვა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და საზოგადოების ინფორმირებულობა - ეს ყველაფერი იმ ფუნქციების ნაწილია, რომელსაც ფარმაცევტები ახორციელებენ.



EKA NAKHUTSRISHVILI, MARIAM GHUGHUNISHVILI, TINATIN KUTUBIDZE

MONOGENIC IBD: DIAGNOSTIC AND THERAPEUTIC CHALLENGES

Tbilisi State Medical University, G.Zhvania Pediatric University Clinic

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.19>

ეკა ნახუტსრიშვილი, მარიამ ლუღუნაშვილი, თინათინ კუტუბიძე
მონოგენური ნაწლავთა ანთებითი დაავადებები (MONOGENIC IBD):

დიაგნოსტიკური და თერაპიული გამოწვევები

თსუ, გ. ჟვანია სახ. პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა

რეზიუმე

ადრეული დებიუტის ნაწლავთა ანთებითი დაავადებები, შესაძლებელია იყოს დაკავშირებული ე.წ მონოგენურ ნაწლავთა ანთებით დაავადებასთან. განსაკუთრებით მაშინ, თუ პირველი მანიფესტირება ხდება 6 თვის ასაკამდე. ეს არის იშვიათი გენეტიკური პათოლოგიები, ატიპიური კლინიკური მიმდინარეობით, მათ შორის ექსტრაინტესტინალური ართროითი. მათი დიფერენცირება სხვა ინფექციური, თუ ალერგიული დაავადებებიდან წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას. ჩვენს მიერ წარმოდგენილია კლინიკური შემთხვევა: ჩვილი პერსისტიული ჰემატოქეზიით, რეკურენტული ართროითი. კომპლექსური იმუნოლოგიური, გენეტიკური კვლევებით დადგინდა მონოგენური ნაწლავთა ანთებითი დაავადების (monogenic IBD) არსებობა.

Introduction. Inflammatory bowel disease (IBD) diagnosed in infancy is rare but increasingly recognized as a distinct clinical entity often underpinned by monogenic causes. Monogenic IBD, representing less than 5% of pediatric IBD cases, typically manifests in very early-onset forms (VEO-IBD; <6 years) or infantile IBD (<2 years), and even more rarely before 6 months of age [1]. These forms are frequently associated with immune dysregulation, defective epithelial barrier function, and altered microbial interactions [2]. Clinical overlap with food allergies, infections, and autoimmune diseases often delays diagnosis and appropriate treatment.

Case Presentation. The patient is a male infant born at term via spontaneous vaginal delivery following an uneventful pregnancy, except for maternal SARS-CoV-2 infection during the second trimester. Birth weight and Apgar scores were within normal limits. He was exclusively breastfed until the onset of symptoms.

At the age of 4 months, the infant presented with hematochezia - fresh blood streaks in stools occurring sometimes several times per day. Initially suspected to be food protein-induced allergic proctocolitis (FPIAP), the mother eliminated dairy and soy from her diet with no significant improvement. Over the following weeks, the patient continued to have blood-streaked stools with mucous, intermittent fussiness, poor weight gain, and abdominal discomfort.

At 6 months of age, he developed sudden swelling, warmth, and decreased movement of the left ankle without any preceding trauma or fever. Joint aspiration was sterile, and inflammatory markers were mildly elevated. The arthritis was recurrent, affecting the same joint over a span of two months.

Diagnostic workup included: complete blood count revealing microcytic anemia, elevated C-reactive protein (CRP), low serum iron, and hypoalbuminemia. Stool studies were negative for infectious pathogens. Fecal calprotectin was elevated. Serological tests showed elevated IgG anti-TTG but normal IgA levels. Fecal elastase was low, raising concern for pancreatic involvement.

An endoscopic examination revealed multiple discrete ulcers and patchy inflammation in the colon. Biopsies confirmed active chronic colitis with crypt abscesses and architectural distortion. Small bowel mucosa was intact, and no villous atrophy was seen. Imaging with abdominal ultrasound and MRI ruled out abscess or fistula formation.

Initial treatment with systemic corticosteroids led to partial remission of gastrointestinal bleeding and full resolution of arthritis. Sulfasalazine was added as a maintenance agent, and azathioprine initiation was planned pending TPMT activity. The clinical phenotype, early onset, steroid-responsive colitis with arthritis, and poor response to dietary restriction prompted referral for genetic testing. Whole-exome sequencing is underway in collaboration with international experts in monogenic IBD.

Discussion. Monogenic inflammatory bowel disease (IBD) represents a rapidly growing subset of early-onset IBD (EO-IBD), distinguished by single-gene mutations that disrupt mucosal immunity, epithelial barrier integrity, or microbial tolerance. These disorders are particularly prevalent in infants and young children, especially those who present with disease before the age of 2 years (very early-onset IBD, VEO-IBD) or even within the first months of life (infantile-onset IBD). Unlike polygenic IBD, monogenic forms often present with atypical, severe, or refractory clinical features and may be associated with systemic immune dysregulation [1,2].

In the presented case, the persistence of hematochezia despite elimination diets and the emergence of extraintestinal symptoms (arthritis) prompted reconsideration of the initial diagnosis of food protein-induced allergic proctocolitis. Allergic proctocolitis typically resolves with dietary management and rarely presents with systemic symptoms. The development of monoarthritis in an infant, particularly without evidence of preceding infection or trauma, strongly suggests an underlying immune-mediated process, which aligns with documented presentations of monogenic IBD [3].

The identification of colonic ulcerations on endoscopy and histopathologic evidence of chronic colitis further supported this suspicion. Colonoscopic findings in monogenic IBD can be indistinguishable from classic IBD (Crohn's disease or ulcerative colitis), but the rapid onset, early age of presentation, and systemic features (joint inflammation, anemia, immune markers) suggest a primary immunodeficiency or immune dysregulation syndrome.

Notably, the elevated IgG anti-TTG in this patient was interpreted cautiously. While suggestive of possible celiac disease, isolated IgG anti-TTG positivity in an infant without clear histological evidence of villous atrophy may also reflect generalized immune activation rather than true autoimmunity. In monogenic IBD, aberrant antibody production is a known phenomenon due to disrupted regulatory T cell function or defects in B cell maturation [4].

Therapeutically, the use of systemic corticosteroids led to significant clinical improvement in both gastrointestinal and joint symptoms, highlighting the immune-driven nature of the disease. However, steroid dependence or resistance is common in monogenic IBD, and long-term control often requires early introduction of steroid-sparing agents such as thiopurines, methotrexate, or biologics [5]. In this case, sulfasalazine was initiated with plans for azathioprine pending TPMT activity — a prudent strategy given the risk of severe myelosuppression in TPMT-deficient individuals.

Genetic testing is now a cornerstone of the diagnostic workup in suspected monogenic IBD, especially in infants with atypical presentations or treatment-refractory disease. More than 70 genes have been implicated, including those affecting regulatory T-cell function (FOXP3, IL2RA), epithelial barrier integrity (ADAM17, TTC7A), and autoinflammatory pathways (XIAP, NOD2, CYBB) [6]. Identifying a causative mutation can significantly influence management. For instance, IL10 or IL10R mutations may necessitate hematopoietic stem cell transplantation (HSCT), as conventional immunosuppressive therapies are largely ineffective.

The maternal history of COVID-19 during pregnancy in this case is noteworthy. While no direct causative link has been established between in utero SARS-CoV-2 exposure and monogenic IBD, there is emerging interest in how maternal infections and inflammation might influence neonatal immune

development and trigger disease expression in genetically susceptible individuals [7]. Further research is needed to elucidate these connections.

Ultimately, this case emphasizes the need for heightened clinical vigilance in infants presenting with refractory gastrointestinal symptoms and systemic features. Pediatricians and pediatric gastroenterologists must be aware of red flags for monogenic IBD, including:

- Onset of symptoms before age 2 (especially <6 months)
- Poor response to dietary or conventional IBD therapies
- Extraintestinal manifestations (arthritis, skin lesions, failure to thrive)
- Family history of consanguinity or autoimmune disease
- Evidence of immune dysregulation (e.g., elevated inflammatory markers, unusual antibody profiles)

Early recognition, comprehensive immunologic workup, and prompt genetic testing are critical to guiding therapy and improving long-term outcomes. In resource-limited settings, international collaboration—as demonstrated in this case—is essential for accessing advanced diagnostic tools and personalized treatment strategies.

Conclusion. Infants with persistent hematochezia and systemic manifestations such as arthritis should be evaluated for monogenic IBD. Early endoscopic and immunologic assessment, along with genetic testing, are crucial for diagnosis. Prompt initiation of immunomodulatory therapy may alter disease course and prevent long-term complications.

References:

1. Uhlig HH, Schwerdt T, et al. The Diagnostic Approach to Monogenic Very Early Onset Inflammatory Bowel Disease. *Gastroenterology*. 2014;147(5):990–1007.e3. doi:10.1053/j.gastro.2014.07.023
2. Kelsen JR, Sullivan KE. Inflammatory Bowel Disease in Primary Immunodeficiencies. *Curr Allergy Asthma Rep*. 2017;17(8):57. doi:10.1007/s11882-017-0720-3
3. Ouahed J, Spencer E, Kotlarz D, et al. Very Early Onset Inflammatory Bowel Disease: A Clinical Approach With a Focus on the Role of Genetics and Underlying Immune Deficiencies. *Inflamm Bowel Dis*. 2020;26(6):820–842. doi:10.1093/ibd/izz284
4. Snapper SB. Advances in understanding the pathogenesis of IBD: genes and environment. *Gastroenterology*. 2021;160(6):1886–1899.
5. Uhlig HH. Monogenic diseases associated with intestinal inflammation: implications for the understanding of inflammatory bowel disease. *Gut*. 2013;62(12):1795–1805.
6. Kelsen JR, Baldassano RN. Inflammatory Bowel Disease: The Difference Between Children and Adults. *Inflamm Bowel Dis*. 2008;14(Suppl 2):S9–S11.
7. Sormani MP, De Rossi N, Schiavetti I, et al. Disease-Modifying Therapies and COVID-19 Severity in Multiple Sclerosis. *Ann Neurol*. 2021;89(4):780–789.

EKA NAKHUTSRISHVILI, MARIAM GHUGHUNISHVILI, TINATIN KUTUBIDZE

MONOGENIC IBD: DIAGNOSTIC AND THERAPEUTIC CHALLENGES

Tbilisi State Medical University, G.Zhvania Pediatric University Clinic

SUMMARY

Early-onset inflammatory bowel disease (EO-IBD), especially when presenting before 6 months of age, raises a high index of suspicion for monogenic IBD. These rare, genetically driven disorders are associated with atypical presentations, including extraintestinal manifestations such as arthritis. Differentiating them from more common allergic or infectious conditions poses significant diagnostic and therapeutic challenges. We present a case of an infant with persistent hematochezia and recurrent arthritis, ultimately guiding immunologic and genetic investigation for monogenic IBD.

Keywords: monogenic IBD, diagnosis, therapy, challenges

THE ROLE OF INFLAMMATION IN DEPRESSION: A LINK BETWEEN PSYCHIATRY AND INTERNAL MEDICINE

Tbilisi State Medical University, American MD program, Georgia

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2025.02.20>

ანა ხვედელიძე

ანთების როლი დეპრესიაში: კავშირი ფსიქიატრიასა და შინაგან მედიცინას შორის
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ამერიკული პროგრამა, საქართველო

რეზიუმე

დეპრესია, მსოფლიოში ინვალიდობის წამყვანი მიზეზი, სულ უფრო მეტად აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი ანთებითი კომპონენტის მატარებლად, რომელიც აერთიანებს ფსიქიატრიასა და შინაგან მედიცინას. ეს მიმოხილვა აერთიანებს დეპრესიაში ანთების როლის შესახებ ბოლოდროინდელ მტკიცებულებებს და ფოკუსირებულია 2020-დან 2025 წლამდე ჩატარებულ კვლევებზე.

ლიტერატურული ძიება ჩატარდა PubMed-ის და სხვა მონაცემთა ბაზების გამოყენებით, შეიქმნა 2020-დან 2025 წლამდე გამოქვეყნებული შედარებითი კვლევები და მეტანალიზები, რომლებიც იკვლევდნენ ადამიანის პოპულაციებში ანთებასა და დეპრესიას შორის კავშირს.

პერსპექტიული კვლევები მიუთითებს, რომ მომატებული ანთებითი მარკერები, როგორიცაა C-რეაქტიული ცილა (CRP) და ლეიკოციტების რაოდენობა (WBC), პროგნოზირებენ დეპრესიის განვითარებას, სქესის მიხედვით სპეციფიკური ფეფქტებით (უფრო ძლიერია მამაკაცებში). მეტანალიზები ადასტურებს ანთებითი მარკერების (მაგ., CRP, IL-6, TNF- α) მნიშვნელოვან მატებას დეპრესიულ პაციენტებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, შემცირებული ცვალებადობით, რაც მიუთითებს თანმიმდევრულ ანთებით მდგომარეობაზე. გრძივი კვლევები აჩვენებს, რომ ინტერლეიკინ-6 (IL-6) ასოცირდება როგორც მიმდინარე, ასევე მომავალ დეპრესიულ სიმპტომებთან, თუმცა ამ კავშირის მიზეზობრივი მიმართულება გაურკვეველი რჩება.

როგორც ჩანს, ანთება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დეპრესიის პათოფიზიოლოგიაში, რაც მკურნალობის ახალ გზებს გვთავაზობს, როგორცაა ანთების საწინააღმდეგო თერაპიები და ცხოვრების წესის ცვლილებები. ზემოაღნიშნული დასკვნები ხაზს უსვამს ფსიქიატრიასა და შინაგან მედიცინას შორის ინტერდისციპლინარული მიდგომების მნიშვნელობას პაციენტების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

Detailed Exploration of Inflammation in Depression and Its Interdisciplinary Links. This comprehensive analysis explores the role of inflammation in depression, emphasizing its significance as a bridge between psychiatry and internal medicine. Grounded in recent research from 2020 to 2025, the discussion covers mechanisms, clinical implications, and the evolving understanding of this complex relationship.

Background and Prevalence. Inflammation, characterized by immune system activation, is increasingly implicated in psychiatric disorders, particularly major depressive disorder (MDD). Research suggests that 25–50% of individuals with MDD exhibit elevated inflammatory markers, such as C-reactive protein (CRP), tumor necrosis factor (TNF- α), interleukin-1 β (IL-1 β), and IL-6 [1]. This prevalence highlights a significant subgroup of depressed patients where inflammation may be a key driver. For instance, approximately 45% of patients with treatment-resistant depression show CRP levels above 3 mg/L, indicating a high-inflammation subtype [3]. The connection to internal medicine is evident, as inflammation is a systemic process associated with chronic conditions like cardiovascular disease, obesity, and diabetes. This overlap suggests that depression in these patients may share inflammatory pathways, necessitating integrated care across medical disciplines.

Mechanisms Linking Inflammation to Depression. Inflammation influences depression through multiple pathways, affecting both peripheral and central nervous systems. Inflammatory markers disrupt neurotransmitter systems, including serotonin, dopamine, and glutamate, which are critical for mood regulation. For example, elevated CRP levels correlate with increased glutamate in the basal ganglia, potentially leading to excitotoxicity and reduced brain-derived neurotrophic factor (BDNF), contributing to symptoms like anhedonia and psychomotor retardation [3].

Innate immune responses, driven by monocytes and cytokines (e.g., TNF- α , IL-1 β , IL-6), are primary contributors. Postmortem brain samples from depressed individuals show evidence of perivascular monocytes/macrophages and activated microglia, indicating neuroinflammation [1]. Adaptive immune responses, such as decreased T regulatory cells and increased Th17 cells, also play a role, with T cell-derived IL-4 linked to resilience against depressive behaviors [3].

Stress is a significant trigger, activating the inflammasome through damage-associated molecular patterns (DAMPs) and microbial-associated molecular patterns (MAMPs) from the gut microbiome, leading to peripheral inflammation that affects the brain [2]. This stress-induced inflammation can be transmitted via activated monocytes, blurring the line between physical and mental health.

From an evolutionary perspective, inflammation and depressive symptoms may have been adaptive, promoting behaviors like social withdrawal to conserve energy and fight infections in pathogen-rich environments [4]. In modern settings, however, this response may drive depression and contribute to non-response to traditional antidepressants.

Transdiagnostic Relevance and Neurocircuitry. Inflammation's role extends beyond depression, appearing in subpopulations across psychiatric disorders, including bipolar disorder, anxiety disorders, post-traumatic stress disorder (PTSD), and schizophrenia [1]. This transdiagnostic relevance suggests that inflammation affects common symptom clusters, such as motivation deficits and anxiety. For instance, inflammation reduces activity in reward-related regions like the ventral striatum and ventromedial prefrontal cortex (vmPFC), linked to anhedonia, and increases sensitivity in threat-related areas like the dorsal anterior cingulate cortex (dACC) and insula, correlating with anxiety and suicidal ideation [3].

Neuroimaging studies, including positron emission tomography (PET) targeting translocator protein (TSPO) for brain inflammation, are advancing, though current ligands are not yet clinically ready [3]. These findings underscore the need for psychiatry to consider inflammation as a shared mechanism across disorders.

Clinical Implications and Treatment Approaches. The recognition of inflammation in depression has spurred new treatment strategies, particularly in precision medicine. Inflammatory biomarkers, such as CRP, are used to identify patients likely to benefit from anti-inflammatory therapies. For example, CRP levels above 1 mg/L predict lower response to selective serotonin reuptake inhibitors (SSRIs), while levels above 3 mg/L predict better response to anti-inflammatory agents like infliximab (a TNF inhibitor) [3]. Clinical trials targeting TNF and IL-6 in high-inflammation patients are ongoing, with drugs like minocycline and COX-2 inhibitors showing potential antidepressant efficacy [1].

Lifestyle interventions, such as anti-inflammatory diets, physical activity, and stress management, are also gaining attention. The following tables summarize factors associated with increased inflammation and lifestyle interventions to mitigate it:

Table 1: Factors Associated with Increased Inflammation

Factor	Description
Stress (especially early life)	Linked to increased CRP, IL-6, TNF- α , driving inflammation in depression.
Obesity and Metabolic Syndrome	Associated with systemic inflammation, exacerbating depressive symptoms.
Medical Illnesses	Conditions like cardiovascular disease and diabetes contribute to inflammation.
Treatment Resistance	High inflammation predicts poorer response to traditional antidepressants.

Table 2: Lifestyle Interventions to Reduce Inflammation

Intervention	Description
Anti-Inflammatory Diet	Emphasizes omega-3 fatty acids, fruits, vegetables, reducing pro-inflammatory foods
Regular Physical Activity	Reduces CRP and cytokine levels, improving mood and reducing inflammation.
Stress Reduction Techniques	Mindfulness, meditation, and therapy can lower stress-induced inflammation.

These approaches highlight the potential for integrated care models, where psychiatrists and internal medicine specialists collaborate to address both mental and physical health.

Comparative Studies (2020–2025). Recent comparative studies provide robust evidence for the inflammation-depression link. The following table summarizes key studies from 2020 to 2025:

Table 3: Comparative Studies on Inflammation in Depression (2020–2025)

Study	Design	Population	Key Outcomes
Kappelmann et al. (2021) [5]	Prospective cohort study	N=10,357 adults (Gutenberg Health Study), aged 35–74 years	Elevated CRP (OR 1.58) and WBC (OR 1.88) at baseline predicted new onset depression at 5-year follow-up; significant in men, not in women
Köhler-Forsberg et al. (2020) [3]	Meta-analysis of case-control studies	5,166 patients with depression, 5,083 healthy controls	Significant elevations in CRP, IL-3, IL-6, IL-12, IL-18, sIL-2R, TNF- α in depressed patients; reduced variability in CRP, IL-12, sIL-2R.
Lamers et al. (2020) [6]	Longitudinal population-based study	N=1,255 middle-aged US adults	IL-6 is associated with present depressive and anxiety symptoms; predictive of prospective depressive symptoms, but not when baseline symptoms are accounted for.

These studies highlight the predictive power of inflammatory markers and the complexity of the inflammation-depression relationship, particularly regarding gender differences and directionality.

Longitudinal and Systemic Connections. Longitudinal studies reinforce the link between inflammation and depression. For example, the English Longitudinal Study of Ageing found that higher CRP levels predicted increased depressive symptoms over 12 years, particularly in older adults [2]. The Heart and Soul study linked depression to systemic inflammation in patients with coronary heart disease, emphasizing the connection to cardiovascular health [2].

Anti-inflammatory treatments, such as TNF- α inhibitors used in autoimmune diseases, have shown effects on depression and anxiety in chronic physical illnesses, suggesting shared therapeutic pathways [2]. This is particularly relevant for patients with conditions like chronic hepatitis C, where treatments like interferon-alpha can induce depressive symptoms [1].

Challenges and Future Directions. The relationship between inflammation and depression remains complex, with ongoing debate about causality. Some studies suggest that anti-cytokine therapies improve specific symptoms like anhedonia but may not significantly reduce overall depression scores compared to placebo, indicating limitations in current approaches [1]. The heterogeneity in inflammation findings may stem from studying MDD patients with varied interventions, complicating the identification of never-treated patients with inflammation [2].

Future research should focus on:

- Clarifying causal relationships through longitudinal and experimental studies.
- Improving neuro-imaging techniques to detect brain inflammation.
- Developing targeted therapies based on inflammatory biomarkers.
- Validating precision medicine approaches through large-scale trials.

